განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური

პრიორიტეტის დასახელება: ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

პროგრამის დასაბუთება:

წარმატებული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირებაა. შესაბამისად, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას და ხელს უწყობს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დანერგვას აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებულ ტერიტორიაზე-გალის რაიონში განთავსებულ სკოლებში. სამინისტრო მოწოდებულია ახალგაზრდებს შეუქმნას ხარისხიანი განათლების მიღებისათვის სათანადო სასწავლო გარემო პირობები, რაც ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, შესაძლებლობების სათანადოდ წარმოჩენას, მათი საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესს და სხვ.

განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად დასახული მიზნები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო და აღმზრდელობით სფეროში დასაქმებულთა პროფესიული განვითარება;
- ინფრასტრუქტურული, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გაუმჯობესება;
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულების განვითარების ხელშეწყობა;
- სამშვიდობო პოლიტიკის დანერგვა და ახალგაზრდების მხარდაჭერა;
- შშმ მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- გალის რაიონში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა;
- განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პროცესებში მონაწილეობა;
- მოსწავლეთა თვითრეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა, მოსწავლეთა წახალისება და მოტივაციის გაზრდა და ა.შ.

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სამინისტროს შესაბამისი სამსახური ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- განათლების ხელშეწყობის პროგრამა (06 04);
- გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 09).

2023 წლის განმავლობაში, ქვეპროგრამების შესაბამისად, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 09)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აფხაზეთში, დარჩენილ მოქალაქეებს რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება. ისინი მუდმივად განიცდიან ზეწოლას დე ფაქტო ხელისუფლებისა და საოკუპაციო ძალების მხრიდან. მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორისა, გალის რაიონში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, მუსიკალური და სამხატვრო სკოლები, რომელთა პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკები ემსახურებიან იქ დარჩენილ თანამოქალაქეებს. უაღრესად მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოღვაწე ადამიანთა წახალისება. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, აფხაზეთის მთავრობის მიზანს წარმოადგენს ოკუპირებული გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუსიკალური და სამხატვრო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ფინანსური დახმარების გზით.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ოკუპირებული გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და მუსიკალური და სამხატვრო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება, რაც ხელს უწყობს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შედეგი:

„გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში 9 საბავშვო ბაღსა და 5 სახელოვნებო სკოლაში დაფინანსდა:

- ✓ პირველი კვარტალი - 86 პედაგოგი, 93 ტექნიკური პერსონალი. სულ: 179 ბენეფიციარი;
- ✓ მეორე კვარტალი - 87 პედაგოგი, 93 ტექნიკური პერსონალი. სულ: 180 ბენეფიციარი;
- ✓ მესამე კვარტალი - 87 პედაგოგი, 93 ტექნიკური პერსონალი. სულ 180 ბენეფიციარი;
- ✓ მეოთხე კვარტალი - 9 საბავშვო ბაღსა და 4 სახელოვნებო სკოლაში 82 პედაგოგი, 91 ტექპერსონალი, სულ 173 ბენეფიციარი.

ბიუჯეტი: 434 850 ლარი;

ხარჯი: 434 850 ლარი.

შესრულება: 100%.

„წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა“
(პროგრამის კოდი 06 04 02)

პროგრამის დასაბუთება:

აფხაზეთიდან დევნილი მრავალი ოჯახი დღესაც მძიმე პირობებშია. (კომპაქტური ჩასახლების ცენტრებში ან ქირით ცხოვრობენ). ბევრი მათგანი არ არის დაკმაყოფილებული სამუშაო ადგილით და შემოსავლის არსებობის ძირითად წყაროს სახელმწიფო შემწეობები წარმოადგენს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდებს არ გააჩნიათ სწავლის გაგრძელების ფინანსური

შესაძლებლობა, რის გამოც იძულებულნი არიან საგანმანათლებლო პროცესი შეწყვიტონ გარკვეული დროით ან საერთოდ.

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული, ნიჭიერი, საზოგადოებრივად აქტიური სტუდენტი-ახალგაზრდების სწავლების ფინანსური მხარდაჭერა, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას, პროფესიულ ზრდასა და განვითარებას. კონკრეტული პროექტის განხორციელება წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქმედით ღონისძიებას.

შედეგი:
საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა **214** განცხადება, პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა აფხაზეთიდან დევნილი **189** წარმატებული ახალგაზრდა.

ბიუჯეტი: 109 586 ლარი;
ხარჯი: 109 585.21 ლარი;
შესრულება: 100%.

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 12)

განათლებული ახალგაზრდობა ქვეყნის წარმატებისა და განვითარების საწინდარია. თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ განათლებული, ცოდნით აღჭურვილი ადამიანები აღწევენ წარმატებას, ქმნიან ღირებულ პროდუქციას, გააჩნიათ უნარი სამყაროს მუდმივად ცვალებად მოთხოვნებს ინოვაციური იდეების რეალიზაციით უპასუხონ.

პროგრამის აღწერა:
პროგრამა ემსახურება ახალგაზრდებში მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების საგნების შესწავლის მოტივაციის ამაღლებას, მათი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას.

შედეგი:
ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წლის პირველ-მეორე კვარტალში დაფინანსდნენ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიატები - **გოგი კეჟერაძე** და **დავით მელიქიძე,** ხოლო მესამე-მეოთხე კვარტალში დაფინანსდნენ - **ილია ყიფშიძე** და **ნიკა არეშიძე**.

ბიუჯეტი: 4040ლარი;
ხარჯი: 4040 ლარი;
შესრულება: 100%.

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები
(ქვეპროგრამის კოდი: 060411)

აფხაზეთში, გასული საუკუნის 90-იან წლებში, განვითარებული მოვლენებიდან მრავალი წელი გავიდა. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ტრაგედია მუდმივად იყო მსჯელობის,

დისკუსიის, დებატების, მწვავე პოლემიკის, კვლევის საგანი. დღეს ახალგაზრდებმა აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ მხოლოდ გადმოცემებით ან წიგნებიდან იციან და ყოველივეს აღიქვამენ როგორც წარსულის დრამატულ მოვლენას. ზოგადად თვალშისაცემია აფხაზეთის თემის ახლებურად გააზრების და ფუნდამენტური კვლევის სიმწირე.

პროგრამის აღწერა
ქვეპროგრამა ემსახურება სტუდენტებში აფხაზეთის თემატიკის გააქტიურებასა და პოპულარიზაციას, ახალგაზრდების მხარდაჭერასა და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას.
შედეგი:
ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წლის პირველ-მეორე კვარტალში დაფინანსდა ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიატი **ნინო ბიგვავა,** ხოლო მესამე-მეოთხე კვარტალში დაფინანსდნენ - **რევაზ ბერულავა** და **შოთა მშვენიერაძე.**

ბიუჯეტი: 2 840 ლარი;
ხარჯი: 2 840 ლარი;
შესრულება: 100%.

თამაზ ნადარეიშვილის, ლორიკ მარშანიას, გურამ გაბესკირიასა და მიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიები (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 23)

პროგრამის დასაბუთება
მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობა იცნობდეს გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეებს აფხაზეთიდან, რომლებმაც თავისი ცხოვრებით, საქმიანობით, თავგანწირვითა და სახელმწიფოს მსახურებით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქვეყნის ისტორიაში. ამ მიზნით შემუშავდა ქვეპროგრამა თამაზ ნადარეიშვილის, ლორიკ მარშანიას, გურამ გაბესკირიასა და მიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიები, რომლებიც ახალგაზრდებში სწავლის მოტივაციის ზრდასა და პიროვნული პოტენციალის განვითარებასთან ერთად პატრიოტული სულისკვეთების მატარებელია.

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამის ფარგლებში თამაზ ნადარეიშვილის, ლორიკ მარშანიას, გურამ გაბესკირიასა და მიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიები გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების შესაბამისად, პირველი ასი საუკეთესო შედეგის აბიტურიენტს შორის ოთხი საუკეთესო შედეგის მქონე (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული)) იძულებით გადაადგილებულ პირებზე აფხაზეთიდან. თანაბარი ქულების შემთხვევაში, სტიპენდია გაიცემა მესამე სავალდებულო საგანში მიღებული საუკეთესო ქულის მიხედვით.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წლის პირველ კვარტალში დაფინანსდნენ სტიპენდიატები: ვიტალი გუგუშვილი, თია ალხაზიშვილი, ნიკა გვალია, გიორგი ოთინაშვილი.

2023 წელს, ეროვნული გამოცდების შედეგებზე დაყრდნობით, გამოვლინდნენ სტიპენდიატები:
- თამაზ ნადარეიშვილის სტიპენდია მიენიჭა მარიამ შონიას - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მათემატიკის პროგრამის სტუდენტს;
- ლორიკ მარშანიას სტიპენდია მიენიჭა კესარია გელოვანს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის პროგრამის სტუდენტს;
- გურამ გაბესკირიას სტიპენდია მიენიჭა აკაკი ძიძიგურს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის პროგრამის სტუდენტს;

➢ მიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდია მიენიჭა ბაგრატ შონიას - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის პროგრამის სტუდენტს.

ბიუჯეტი: 8 080 ლარი;
ხარჯი: 8 080 ლარი;

შესრულება: 100%.

ონლაინ საკვირაო სკოლა
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 20)

პროგრამის დასაბუთება

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ გალის რაიონში, სადაც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ეთნიკურად ქართველები წარმოადგენენ, შეზღუდულია მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართულ ენაზე სწავლების სხვა ენით ჩანაცვლების პროცესი. აღნიშნული უარყოფითად აისახება სკოლაში მიღებული განათლების ხარისხზე. არსებულ რეალობას ართულებს ის გარემოებაც, რომ დე-ფაქტო საზღვრის ხშირი ჩაკეტვა ხელს უშლის კონტროლირებადი ტერიტორიის მიღმა მცხოვრები მოზარდების სრულფასოვანი განვითარებისა და სოციალიზაციის პროცესს.

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამის ფარგლებში გალის რაიონის საშუალო და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ 3 საგნობრივი მიმართულების - ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ხელოვნების განსხვავებული ფორმატით სწავლების პროცესში. ონლაინ შეხვედრები იმართება ინტერაქტიური, თამაშით სწავლებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა განსხვავებულად შეიმეცნონ ტრადიციული საგნები.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლების და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს (ბენეფიციართა რაოდენობა - 160 მოსწავლე, რვა ჯგუფი) ჩაუტარდათ 3 საგნობრივი მიმართულების - ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ხელოვნების გაკვეთილები. ონლაინ შეხვედრები იმართება ინტერაქტიური, თამაშით სწავლებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით. თითოეულ ჯგუფს ჩაუტარდა (თვეში) 4 შეხვედრა სამივე საგნობრივი მიმართულებით. ქვეპროგრამის ფარგლებში კოორდინატორებს გადაეცათ კომპიუტერები.

ბიუჯეტი: 74 805 ლარი;
ხარჯი: 74 805 ლარი;
შესრულება: 100%.

„აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 22)

პროგრამის დასაბუთება

საქართველოში მოსწავლეების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია, რაც თანამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში არაჯანსაღი, ვირტუალური ცხოვრების, მავნე ჩვევებითა და შესაბამისი პირობების არქონითაა განპირობებული. ჯანსაღი თაობის აღზრდა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მავნე ჩვევების დაძლევის ხელშეწყობა მასობრივი სპორტის განვითარებით მიიღწევა.

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეებში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და საქართველოს სასკოლო სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ემსახურება მასობრივი სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას ახალგაზრდებში. ბენეფიციარები აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეები არიან. ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ხუთ სახეობაში, კერძოდ: მძლეოსნური გეზრბენი (კროსი), მინი ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი.

შედეგი:

ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები (მონაწილე გუნდების განაცხადების მიღება, თამაშების განრიგის შედგენა) შეძენილ იქნა თასები, მედლები, სპორტული ფორმები და სხვა სპორტული ინვენტარი.

აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის შეჯიბრებები ჩატარდა აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მოთხოვნების გათვალისწინებით შემდეგ სახეობებში - მძლეოსნური გეზრბენი, მინი ფეხბურთი, 3X3 კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი.

გამარჯვებული გუნდები:

- ✓ გეზრბენი - აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის (გოგონათა) და(ვაჟთა) გუნდი;
- ✓ მინი ფეხბურთი - აფხაზეთის № 6 საჯარო სკოლის(ვაჟთა) გუნდი;
- ✓ 3X3 კალათბურთი ოკუპირებული გალის რაიონის ზემო ბარღების საშუალო სკოლის (ვაჟთა) და (გოგონათა) გუნდი;
- ✓ მაგიდის ჩოგბურთი - აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის (ვაჟთა) და (გოგონათა) გუნდი;
- ✓ ფრენბურთი - აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის (ვაჟთა) და (გოგონათა) გუნდი.

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ მაისურები, შორტები, მედლები, თასი. ოლიმპიადის ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი აფხაზეთის სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის.

სულ მონაწილეობდა 324 მოსწავლე.

გამარჯვებულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ზონალურ თამაშებში.

ბიუჯეტი: 8 000 ლარი;
ხარჯი: 7 987, 20 ლარი;
შესრულება: 99,84%.

აფხაზეთის მოზარდები მედიაპროექტში „ეტალონი“

(ქვეპროგრამის კოდი: 06 06 06)

პროგრამის დასაბუთება
აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული ტერიტორიის სკოლების მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ საშუალება წარმოაჩინონ თავიანთი ცოდნა და ინტელექტი მედია-პროექტ „ეტალონის“ მსგავს პროექტებში. მასში მონაწილეობის მიღება მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალგაზრდების სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით.

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეები. მოზარდებს ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მედია-პროექტში „ეტალონი“, წარმოაჩინონ საკუთარი რესურსი და ინტელექტი.

შედეგი:

- ✓ ინტელექტუალური ჩემპიონატის ჩატარების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება (N20, 2022 წ.) შპს „ეტალონი-მედიასთან“ ;
- ✓ გაიმართა შიდა სასკოლო ტურები, გამოვლინდა ფინალური ეტაპის მონაწილეები;
- ✓ ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატში „ეტალონი" გამარჯვებული პირველი ათეულისთვის შეძენილ იქნა წიგნები;
- ✓ ეტალონის პირველ შესარჩევ ეტაპში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული ტერიტორიის გალის რაიონის საშუალო სკოლების სულ 259 მოსწავლემ, რომელთაგან შეირჩა და მეორე ტურში გადავიდა 46 მოსწავლე;
- ✓ 2 მაისს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, ვ. არქანიას სახელობის საგამოფენო დარბაზში, „ეტალონის“ საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ჩატარდა. 2023 წლის „ეტალონი მოსწავლე“ სსიპ აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე ლიზი გორდულაძე (67 ქულა) გახდა. პირველ ათეული დაჯილდოვდა სამინისტროს მხრიდან.

ბიუჯეტი: 3 500 ლარი;
ხარჯი: 3 500 ლარი;
შესრულება: 100%

პროფესიული უნარების განვითარების მხარდაჭერა სკოლებში

(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 24)

პროგრამის დასაბუთება
ქვეპროგრამა ემსახურება ახალგაზრდებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის ზრდასა და საინტერესო პროფესიის საბაზო უნარების განვითარებას.

პროგრამის აღწერა
პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა პროფესიაში. პროფესიული განათლების შესაძლებლობის თაობაზე აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის განხორციელდა საინფორმაციო ტურები, მოხდა აფხაზეთის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების მიმართულებით სკოლების ინიციატივების დაფინანსება.

შედეგი:

- აფხაზეთის საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის მოსწავლეები ქვეპროგრამის ფარგლებში იმყოფებოდნენ ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის - „ლაკადას“, „ფაზისისა“ და „იბერიის“ კოლეჯებში;
- ქვეპროგრამის - „პროფესიული უნარების განვითარების მხარდაჭერა სკოლებში“ - ფარგლებში დაფინანსდა სსიპ -ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლის პროექტი „ხეზე მხატვრული კვეთა“. სსიპ-კოლეჯ „მერმისისა“ და სსიპ-ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლის ბაზაზე სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის თორმეტმა მოსწავლემ ხეზე მხატვრული კვეთის პროფესიული კურსი (თეორიული და პრაქტიკული) გაიარეს და დაეუფლნენ პროფესიის პირველად უნარ -ჩვევებს.

ბიუჯეტი: 5781 ლარი;
ხარჯი: 5580,30 ლარი;
შესრულება: 96.53%.

აფხაზური ენის პოპულარიზაცია

(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 24)

პროგრამის დასაბუთება

აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვა, შესწავლა, მხარდაჭერა ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა. ტექნოლოგიურ ეპოქაში ინფორმაციის სწრაფი გავრცელება-მიღების წყაროს სოციალური ქსელები წარმოადგენს. სოციალური ქსელებში აფხაზური ენის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ენის ცნობადობის ზრდას.

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა ემსახურება აფხაზური ენის დაცვას, პოპულარიზაციას, ცნობადობის ზრდას ფართო მასებში. აფხაზური ენის პოპულარიზაცია განხორციელდება თემატური ჩანაწერების სოციალურ ქსელში კამპანიურად გავრცელების გზით.
ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ აფხაზური ენით დაინტერესებული პირები, საზოგადოების ფართო მასები.

შედეგი:

- შეიქმნა 40 ვიდეოკონტენტი;
- ვიდეოები აიტვირთა და გავრცელდა სოციალურ ქსელებში.

ბიუჯეტი: 4900 ლარი;
ხარჯი: 4900 ლარი;
შესრულება: 100%.

აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 17)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვა, შესწავლა, მხარდაჭერა ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა. აფხაზეთის ხუთ საჯარო სკოლაში სწავლების საშუალო

საფეხურზე ისწავლება აფხაზური ენა. აფხაზური ენის ათვისებას ხელს უშლის ენის სირთულე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში არჩევითი საგნების შესწავლისათვის დათმობილი კვირეული საათობრივი დატვირთვა, შრომის მცირე ანაზღაურება, აფხაზური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს არარსებობა, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და სხვა. ვინაიდან აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის აფხაზური ენა არ არის მშობლიური ენა და რთული დასაძლევია, ენის შესწავლა მსურველთათვის მიზანშეწონილია დაიწყოს ადრეულ ასაკში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური რესურსი არ იძლევა აფხაზური ენის შემსწავლელი ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობას.

პროგრამის აღწერა
ქვეპროგრამა ემსახურება აფხაზური ენის დაცვას, პოპულარიზაციასა და განვითარებას მოზარდ-ახალგაზრდებში. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის პედაგოგები. სამინისტრო „აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს აფხაზური ენის მასწავლებლების ფინანსურ დახმარებას.

შედეგი:
ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან აფხაზეთის საჯარო სკოლის აფხაზური ენის პედაგოგები (5 პედაგოგი).

ბიუჯეტი: 17 500 ლარი;
ხარჯი: 17 500 ლარი;
შესრულება: 100%.

„საზაფხულო ბანაკი“

(ქვეპროგრამის კოდი:06 04 07)

პროგრამის დასაბუთება

ქვეპროგრამა ემსახურება მოზარდებში განათლების დონისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას, დასვენებას, პოზიტიური ემოციებისა და განწყობის უზრუნველყოფას.

პროგრამის აღწერა
„საზაფხულო ბანაკის“ ბენეფიციარები არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ქვეპროგრამის „ონლაინ საკვირაო სკოლის“ 35 მოსწავლე. მონაწილენი გაიუმჯობესებენ საგნობრივ კომპეტენციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენაში, ხელოვნებაში. ტრენინგ-სემინარების ფორმატში ხელი შეეწყობა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, პიროვნული უნარ-ჩვევების წარმოჩენასა და განვითარებას.
„საზაფხულო ბანაკის“ ფარგლებში მოზარდებს შესაძლებლობა ექნებათ ეწვიონ აჭარაში ფუნქციონირებად პროფესიული განათლების განმახორციელებელ დაწესებულებას, გაეცნობიან პროფესიული სწავლების სპეციფიკას, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროფესიული გადამზადების მიზნობრივ პროგრამებს.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგ-სემინარები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ხელოვნება და სხვა). საზაფხულო

ბანაკის ბენეფიციარებმა შეძლეს საკვირაო სკოლის ფარგლებში ცალკეულ დისციპლინაში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენა და განვითარება.

„საზაფხულო ბანაკის“ ფარგლებში შედგა ვიზიტი საზოგადოებრივ კოლეჯში „ახალი ტალღა“. მოსწავლეები გაეცნენ პროფესიული სწავლების სპეციფიკას, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროფესიული გადამზადების მიზნობრივ პროგრამებს, რამაც ახალგაზრდებში დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ბანაკის პროგრამა არამარტო სწავლების, ასევე გართობისა და დასვენების კომპონენტისგან შედგებოდა. „საზაფხულო ბანაკის“ ფარგლებში მონაწილეები ყოველდღიურად, საინტერესო აქტივობებით დატვირთულ დღეებს ატარებდნენ, იმართებოდა კულტურულ-შემეცნებითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები (დილის ვარჯიში, სპორტული შეჯიბრებები, შემოქმედებითი საღამოები და სხვა). ბანაკმა ხელი შეუწყო მოზარდებში დამეგობრებას, ცოდნის ამაღლებას, საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ბანაკის მონაწილეებს გადაეცათ სხვადასხვა ნომინაციისა და „ბანკი 2022“-ის მონაწილის სერტიფიკატები.

ბიუჯეტი: 28 710 ლარი;

ხარჯი: 28 710 ლარი.

შესრულება: 100%.

„თანაბარი შესაძლებლობები-თანაბარი მზრუნველობა“
(ქვეპროგრამის კოდი: 060415)

პროგრამის დასაბუთება
შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირება რთული და ხანგრძლივი პროცესია. ყოველ ადამიანს, მიუხედავად მისი უნარებისა, უფლება აქვს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, ამისთვის კი აუცილებელია ინტეგრირდეს საზოგადოებაში, რაშიც თავად საზოგადოებამ და სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი. ინკლუზიური განათლების შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი და პედაგოგებმა, მშობლებმა, მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ ამ საქმეში.
შშმ მოზარდები საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით საჭიროებენ სპეციალურ ფსიქოსოციალურ აქტივობებში ჩართვას. მათი ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის სოციალური აქტივობის სიმწირე. სოციუმში ინტეგრაციის მცდელობისას ისინი ხშირად აწყდებიან ბარიერებს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ირღვევა მათი უფლებები.

პროგრამის აღწერა
ქვეპროგრამა ემსახურება სპეციალური და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს შშმ მოზარდთა სოციალიზაციის პროცესს.

შედეგი:

- ქ. ზუგდიდში, 10-14 ივლისს, ბიბლიოთეკა - კულტურულ ცენტრ „თანადგომასთან“ ერთად, სპეციალური საჭიროების მქონე მოზარდების მშობლების ცნობიერების ამაღლების კურსი განხორციელდა.

ტრენინგი მიმდინარეობდა 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ტრენინგის მონაწილეებს გააცნეს შესაბამისი ვიდეო ფილმები, საკითხავი მასალა, უზრუნველყოფილნი იყვნენ კვებით. პროგრამის დასასრულს მშობლებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

ბიუჯეტი: 6 000 ლარი;
ხარჯი: 6 000 ლარი;
შესრულება: 100%.

შეხვედრები

(ღვაწლმოსილ პედაგოგებთან; მედალოსან კურსდამთავრებულებთან; წარმატებულ სტუდენტ - ახალგაზრდობასთან)

(ქვეპროგრამის კოდი: 060414)

პროგრამის დასაბუთება
პედაგოგობა რთულ და საპასუხისმგებლო პროფესიაა. მასწავლებლის პროფესიის განვითარება მომავალთან არის დაკავშირებული და ყველა ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს. პედაგოგის პროფესიის მოთხოვნადობისა და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად საჭიროა ხელი შეეწყოს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას, პრესტიჟის გაზრდასა და ამ პროფესიით ახალგაზრდების დაინტერესებას.
უდავოდ, მეტად მნიშვნელოვანია იმ ხალხის დაფასება, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქვეყნისა და მომავალი თაობის აღზრდას მიუძღვნა და თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი სკოლას დაუთმო. ძლიერი ქვეყნის აღმშენებლობა განათლებული თაობის გარეშე შეუძლებელია. უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდებში, მოსწავლეებში სწავლისადმი მოტივაციის გაზრდა. ამ მიზნით სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს/აქტივობებს.

პროგრამის აღწერა
ქვეპროგრამა ემსახურება აფხაზეთიდან დევნილი ღვაწლმოსილი პედაგოგების მხარდაჭერას, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებას.

შედეგი:

- 2023 წლის 5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, ვალერი არქანიას სახელობის არტგალერეაში გაიმართა პედაგოგებთან, მედალოსან მოსწავლეებთან და წარმატებულ ახალგაზრდებთან შეხვედრა. მადლობის სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით (ტექნიკის 400 ლარიანი ვაუჩერი) დაჯილდოვდნენ ღვაწლმოსილი პედაგოგები აფხაზეთიდან:
    - ბაბუშარის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი - ლუიზა სიჭინავა;
    - ქ. სოხუმის № 1 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი - ლაურა კილაბერია;
    - გულრიფშის რაიონის მეორე ბაგაჟიაშთის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი - თამარ ქურდიანი;
    - ქ. ფოთის № 6 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი - ზაირა გოგავა;

- გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშერის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი - ზაირა ხუბუა;
- ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი - იამზე ანჩაბაძე;
- ზემო ბარღების საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი - სულიკო დარსალია;
- გალის რაიონის ღუმურიშის საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი - ლორა გელენავა;
- ქ. გალის შ. რუსთაველის სახელობის №1 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი - თამარ ნაჭყებია;

➢ სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით (ტექნიკის 400 ლარიანი ვაუჩერი) დაჯილდოვდნენ 2023 წლის აფხაზეთის წლის საუკეთესო მასწავლებლები:

- სსიპ-ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - მაია ესართია;
- სსიპ-თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლა - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი - გოგიტა გოგია;
- სსიპ- აფხაზეთის N11 საჯარო სკოლა - ბიოლოგიის მასწავლებელი - მარინა კახიანი;

აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეებს გადაეცათ მედლები და წიგნები.

ბიუჯეტი: 10 000 ლარი;
ხარჯი: 9999 ლარი.
შესრულება: 100%.

„სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 01)

პროგრამის დასაბუთება
ზოგადი განათლების სისტემის რეფორმა ითვალისწინებს საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესს, რაც სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ინფრასტრუქტურულად გამართული გარემოს შექმნას გულისხმობს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განთავსებული 13 საჯარო სკოლა, რომლებიც საჭიროებენ ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში მოქმედი 30 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა. სკოლების არსებული მწირი ბიუჯეტი არ იძლევა აუცილებელი რესურსების, მათ შორის, საჭირო საკანცელარიო ნივთების შეძენის შესაძლებლობას.

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამის ფარგლებში, სასწავლო პროცესისათვის, სკოლების საჭიროებების გათვალისწინებით გამოიყოფა თანხა სასკოლო და სახელოვნებო ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, ინვენტარის, საკანცელარიო ნივთების, თვალსაჩინოებების, კლასგარეშე დამხმარე ლიტერატურისა და ასევე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საჭირო მასალების შესაძენად.

შედეგი:

- „სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“ - ქვეპროგრამის ფარგლებში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სსიპ აფხაზეთის N12 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო სივრცის (ბიბლიოთეკა) ოთახის რეაბილიტაციის მიზნით თანადაფინანსების სახით გამოყო 12 000 ლარი;
- „სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“ - ქვეპროგრამის ფარგლებში გალის რაიონის საშუალო სკოლებისთვის მოხდა საკანცელარიო ნივთების შეძენა და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის გადაცემა (4 958,10 ლარი);
- „სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“ - ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ-აფხაზეთის N15 საჯარო სკოლას, მოთხოვნის საფუძველზე, სპორტული დარბაზის სახურავის, გასახდელი ოთახებისა და საშხაპეების რეაბილიტაციისთვის გამოეყო 45 979 ლარი;
- „სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“ - ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლას, მოთხოვნის საფუძველზე, შშმ პირებისთვის ამწე-ლიფტის კონსტრუქციის მოსაწყობად გამოეყო 7 000 ლარი;
- სსიპ აფხაზეთის N14 საჯარო სკოლას, მოთხოვნის საფუძველზე, სკოლის სააქტო დარბაზისთვის 36 სკამის შეძენის მიზნით, გამოეყო 5 040 ლარი.

ბიუჯეტი: 73 000 ლარი;
ხარჯი: 72 982,78 ლარი;
შესრულება: 99.98%.

„ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყოველკვარტალურად უზრუნველყოფს ფინანსური (სოციალური) დახმარების გაცემას, რომლის ოდენობაც 2023 წლისთვის განისაზღვრა შემდეგნაირად:

ა) დირექტორი - 1 155 ლარის ოდენობით;

ბ) მასწავლებელი - 1 122 ლარის ოდენობით;

გ) ადმინისტრაციული ტექნიკური პერსონალი - 743 ლარის ოდენობით.

2023 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით დაფინანსდა 911 ბენეფიციარი: მასწავლებელი - 697, დირექტორი -21, ტექნიკური პერსონალი - 193.

2022-2023 სასწავლო წელს აფხაზეთის საჯარო სკოლების 180 მოსწავლემ წარმატებით დაძლია საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონე და ეკუთვნით სრული ზოგადი განათლების ატესტატი;

- 2022-2023 სასწავლო წელს აფხაზეთის საჯარო სკოლების 154 მოსწავლემ წარმატებით დაძლია საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონე;
- 2023 წლის მანძილზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მიზნით შექმნილმა კომისიამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2009

წლის 19 მარტის №147 ბრძანების შესაბამისად, აღიარა პირების ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლება, კერძოდ: საბაზო განათლება - 17, სრული განათლება -306, ცალკეული კლასები -108 (სულ - 431);

- 2023 წელს ა(ა)იპ ,,ვახტანგ ფხაკაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდ ლუტეციასა“ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანადაფინანსებით განხორციელდა სსიპ აფხაზეთის N12 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა(38 400 ლარი);
- 2023 წელს სლოვაკეთის საელჩოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანადაფინანსებით მიმდინარეობს სსიპ თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლაში შშმ პირებისათვის ამწე-ლიფტის კონსტრუქციის მოწყობა (41264.73 ლარი);
- 2023 წელს დაიწყო რუმინეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოსა(ROAID) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანადაფინანსებით დაიწყო სსიპ აფხაზეთის N15 საჯარო სკოლას სპორტული დარბაზის საშხაპეების, გასახდელებისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია (114642 ლარი);
- ამერიკის საელჩო საქართველოში მხარდაჭერით 2023 წელს მიმდინარეობდა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტებისთვის;
- მომზადდა და საქართველოს სახალხო დამცველს გადაეგზავნა გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გალის რაიონში მშობლიურ ენაზე განათლების და სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობის საკითხებზე;
- მომზადდა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლის მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებზე რეგისტრაციის თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია რეპატრირებული და/ან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე მესხი მოზარდების საგანმანათლებლო სივრცესა და სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით მონაცემთა ბაზის განახლების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ევროპის ფონდის ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამის „ახალგაზრდული იდეის“ თაობაზე საქართველოს რეგიონებში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N442 ბრძანების შესაბამისად, მიეწოდა აფხაზეთის საჯარო სკოლების 2022 წლის 12 თვის შესრულების ანგარიშები;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ევროკავშირის მიერ გამოცხადებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპულ სკოლაში 2023-2024 სასწავლო წლის ახალი სასტიპენდიო პროგრამის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის მომართვის საფუძველზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით პირის/მოსწავლის შეფასების შესახებ;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია იმ სპეციალური მასწავლებლების შესახებ, რომელთაც გავლილი არ აქვთ ინდივიდუალური ასისტენტის საგანმანათლებლო მოდული;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია საჯარო სკოლების პედაგოგებისა და მოსწავლეების ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის თაობაზე;
- სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტს გადაეგზავნა 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის საანგარიშო პერიოდის შესრულების სტატუსანგარიში;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ევროპის საბჭოს მიერ დაგეგმილი სასკოლო ოლიმპიადის (ონლაინ) თაობაზე;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსების შეფასების შედეგების საპრეტენზიო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ;
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების I-II-III კლასის მოსწავლეთა კომპიუტერებით უზრუნველყოფის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ზოგადი განათლების I-XII კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე I-XII კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენის შესახებ;
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიეწოდა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების 2023-2024 სასწავლო წლისთვის საჭირო სახელმძღვანელოების რაოდენობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ეკონომიკის ოლიმპიადის ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მიერ სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სტუდენტური პროექტის „თსუ დესპანი-2023“ განხორციელების შესახებ;
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების 2023-2024 სასწავლო წლისთვის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების განთავსების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მიერ ინიციირებული ესეების კონკურსის - „ჩემი ქვეყნის დემოკრატიული მომავალი“ - შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების ფარგლებში სასწავლო - კვლევითი 76-ე კონფერენციის განხორციელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადის დადგენის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებსა და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნათ ინფორმაცია „2022-2023 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის ჩატარების განრიგისა და ადგილის განსაზღვრის თაობაზე“ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 15 თებერვლის N17-23 ბრძანების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია დანიის სამეფოს ქალაქ ბილუნდში 2023 წლის სექტემბერში დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიების - „ბავშვების გენერალური ასამბლეა“ (CGA23) მხარდაჭერის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებასთან დაკავშირებით;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „2023-2024 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია წერილის წერის საერთაშორისო კონკურსის განხორციელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია შპს „The Sooren The Better“-ის პროექტის ფარგლებში ინგლისურენოვანი გეოგრაფიის ოლიმპიადის ჩატარების თაობაზე;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრების შესახებ;
- მომზადდა და სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტს გადაეგზავნა ინფორმაცია 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების კონსოლიდირებული სტატუსანგარიშის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ევროპის უნივერსიტეტის მიერ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია საბაზო და საშუალო საფეხურის ექსტერნატის ფორმით დაძლეულთა სიების შესახებ;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამის ბენეფიციართა შესახებ;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების სპეციალური მასწავლებლების შესახებ მონაცემების განახლების თაობაზე;
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია 2023 წლის საჯარო სკოლების ავტორიზაციის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ჭადრაკის მასწავლებლების ტრენინგზე რეგისტრაციის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია პროექტში „შეფასება განვითარებისთვის“ მონაწილეობის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „მათემატიკის ონლაინ ოლიმპიადა V-VI კლასელებისათვის“ - მე-2 სეზონის დაწყების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია საჯარო სკოლებში პროგრამის სასკოლო გუნდების, თეატრალური და კინო/ფოტო ხელოვნების კლუბების ჩამოყალიბების მხარდაჭერის შესახებ;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა გაერთიანებული ინფორმაცია პროგრამის სასკოლო გუნდების, თეატრალური და კინო/ფოტო ხელოვნების კლუბების ჩამოყალიბების მხარდაჭერის ფარგლებში მონაწილეობის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის მიერ ესეების კონკურსის ჩატარების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაეგზავნა საქართველოს ოკუპირებულ გალის რაიონში განვითარებული მოვლენების შესახებ, 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის მარტის პერიოდში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 27-ე კონსოლიდირებული ანგარიში;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ლიტერატურული კონკურსის „დაწერე გაკვეთილების შემდეგ საკითხავზე“ განხორციელების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ინფორმატიკის ეროვნული ოლიმპიადის შესახებ;
- მომზადდა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრს გადაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლების შესახებ გაერთიანებულ ინფორმაცია ჭადრაკის მასწავლებლების ტრენინგზე რეგისტრაციის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია შიდა სასკოლო დებულების, თამაშების ჩატარების სავარაუდო სარეკომენდაციო გრაფიკისა და სპორტის სახეობების მიხედვით შეჯიბრების ოქმების ფორმის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია სპეციალური მასწავლებლების ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი პროექტის განხორციელების თაობაზე;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ახალგაზრდა ნატურალისტთა ეროვნული ტურნირის ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით დაგეგმილ შემეცნებით ღონისძიებებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების მონაწილეობის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ფიზიკის დარგში დაგეგმილი კონკურსის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამის „მეწარმეობის საფუძვლების“ ფარგლებში სწავლების განხორციელების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია პროექტის „ფეხბურთი სკოლებში“ ფარგლებში, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, საჯარო სკოლებში უსასყიდლო ვარჯიშების ორგანიზების საკითხის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსის მსურველთათვის წინადადებების წარდგენის ვადის განსაზღვრის თაობაზე;
- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლებში არსებული სამედიცინო აღჭურვილობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“- მიერ მოსწავლეებისთვის დაგეგმილი ოლიმპიადის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტებში ცვლილების თაობაზე;
- მომზადდა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს გადაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლებში დასაქმებული პრაქტიკოსი მასწავლებლების შესახებ ინფორმაცია „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგში მონაწილეობის მიზნით;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანების შესაბამისად, აფხაზეთის საჯარო სკოლების 2022 წლის 12 თვის ფინანსური ანგარიში;
- მომზადდა და ზუგდიდის მერს გადაეგზავნა აფხაზეთის N1, N11, N12, N14 და N15 საჯარო სკოლების „მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში გაწეული მომსახურების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის წევრის ანა წითლიძის მომართვის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია Erasmus+ - სტრატეგიული პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში სკოლის დირექტორთა კვლევაში მონაწილეობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია USAID - პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი დაწყებითი კლასების (II და VI კლასები) მოსწავლეთა კითხვისა და მათემატიკური უნარების განვითარების შუალედური შეფასების განხორციელებისა და მხარდაჭერის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა სასკოლო კვირეულის - „ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი“ - ფარგლებში აფხაზეთის საჯარო სკოლების გამარჯვებული პროექტები;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს, ზემო აფხაზეთისა და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრებს გადაეგზავნა 2023 დამსახურებული მასწავლებლის წარდგენის შესახებ ინფორმაცია;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული

განვითარების ეროვნულ ცენტრის თანამშრომლობით პროექტის „მასწავლებელი - მეგზური ევროპისკენ“ ფარგლებში დაგეგმილი სემინარის შესახებ;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების/ანაზღაურებადი საავადმყოფო ფურცლის/ ანაზღაურებადი შვებულების ასახვასთან დაკავშირებით;
- გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა პროექტის „წიგნიერების დრო - ქართულენოვანი ლიტერატურა - I ნაწილი“ განხორციელების შესახებ ინფორმაცია;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ელექტრონული ჟურნალის „სასკოლო სპორტი“ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გავრცელების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდა ინფორმაცია მედიაწიგნიერების კონკურსის „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ,,ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებლებისთვის ტრენინგის „პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერა“ ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ადმინისტრირების მიზნით განსაზღვრული „ყოველდღიური სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცლისა“ და „საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმებულ მოსარგებლეთა სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის“ წარმოების წესის საჯარო სკოლებში გავრცელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია **„**მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებისა და დასკვნის მომზადების ვადის დადგენის შესახებ“;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია **„**2023-2024 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 28 თებერვლის N240185 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია ესტონეთის ქ. ტარტუს უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული სასწავლო პროგრამის ტექნოლოგიების გამოყენება თანამედროვე სწავლებაში შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის, „სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში“ ფარგლებში, „ჯუნიორ ეჩივმენტის“ პროგრამის, „მეწარმეობის საფუძვლების“ სწავლების ფარგლებში შექმნილი მოსწავლეთა კომპანიების კონკურსის „წლის მოსწავლეთა კომპანია“ გამართვის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის (ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის) მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით არსებული სახელმწიფო მომსახურებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ფსიქოლოგების ტრენინგმოდულზე „პოზიტიური ქცევის მხარდამჭერი მიდგომა და რთული ქცევის მართვა სასკოლო გარემოში“ გამოცხადებული რეგისტრაციის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში XII კლასის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადების დადგენის შესახებ“;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების მიგრანტი მოსწავლეების შესახებ;

- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლებში ბოლო 10 წლის განმავლობაში მიგრაციის მართვასთან/დიასპორასთან დაკავშირებულ საკითხებზე აფხაზეთის საჯარო სკოლებში განხორციელებული პროექტების/პროგრამების შესახებ ინფორმაცია;
- მომზადდა და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების იმ მოსწავლეთა შესახებ, რომლებმაც 2022-2023 სასწავლო წელს წარმატებით დაძლიეს საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონე და ეკუთვნით სრული ზოგადი განათლების ატესტატი;
- მომზადდა და სსიპ-სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარეს გადაეგზავნა ინფორმაცია 2023-2024 სამოქმედო გეგმის პროექტში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პასუხისმგებლობის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „2023-2024 სასწავლო წელს სექტორების, ცვლებისა და სასწავლო შენობების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადის დადგენის შესახებ“;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამის ბენეფიციართა შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მწერალთა სახლის სასკოლო კონკურსის „ბავშვები ურჩევენ ბავშვებს“ - განხორციელებისა და მხარდაჭერის თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია სპეციალური მასწავლებლების შესახებ გარკვეული სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვის თაობაზე;
- გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია ქვეპროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ დაფინანსების ფარგლებში, ოკუპირებული ტერიტორიის მოსწავლეებისთვის დაგეგმილი „ქართული ენის საზაფხულო სკოლაში“ მონაწილეობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის“ „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამის“ შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool-ში (ინსტრუქციის შესაბამისად) მედალოსნობის კანდიდატებთან დაკავშირებით ინფორმაციის ასახვის თაობაზე;
- გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ინფორმაცია ოკუპირებული ტერიტორიის მოსწავლეებისთვის დაგეგმილი განსახორციელებელი პროექტის „წიგნიერების დრო - ისტორიული ნაწარმოებები I ნაწილი“ თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ზოგადი განათლების I-XII კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე I-XII კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების (გარდა მე-12 კლასისა) მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადების დადგენის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტების დამტკიცების შესახებ“, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 მარტის N303359 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „ადრეული ქორწინების წინააღმდეგ“ საინფორმაციო სტიკერების მიწოდებისა და თვალსაჩინო ადგილას გამოკვრის შესახებ;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია X-XI კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ;
- გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში, 2023-2024 სასწავლო წლისათვის, საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლებში პირველკლასელთა დამრიგებლების სავარაუდო რაოდენობისა და გარკვეული ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების საკითხის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ჭადრაკის I-II კლასების სახელმძღვანელოების გრიფის მინიჭების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსების შეფასების შედეგების საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სასკოლო რვეულების განაწილების დაწყების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია მთავრობის ელექტრონულ პროგრამაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ატვირთული „აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესი“- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N572 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- მომზადდა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაეგზავნა ანგარიში სსიპ-აფხაზეთის N12 საჯარო სკოლის 2023 წელს განხორციელებულ შესყიდვებზე დადებული ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაცია სოფელ ანაკლიაში ახალგაზრდულ ბანაკში „ანაკლია -2023“ მონაწილეობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში“ საზაფხულო ბანაკების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია UNESCO-ს ფოტოკონკურსში - „ახალგაზრდების თვალით დანახული აბრეშუმის გზა“ - მოსწავლეების მონაწილეობის შესახებ;
- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია 2023-2024 სასწავლო წლისთვის მე-11 კლასის მათემატიკისა და რუსულის ენის სახელმძღვანელოების საჭიროების შესახებ;
- აფხაზეთის №2 საჯარო სკოლას გადაეგზავნა ინფორმაცია ევროპის საბჭოს პროექტის - „დემოკრატია იწყება სკოლაში“ - ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ოთხი ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია 2023- 2024 სასწავლო წლის პირველკლასელთა დამრიგებლების მონაცემების შესახებ;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა 2023 წლის 6 თვის შესრულების ნაერთი ანგარიში საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 ბრძანების შესაბამისად;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების დირექტორების თაობაზე;
- მომზადდა და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას გადაეგზავნა ინფორმაცია საბაზო და საშუალო საფეხურის ექსტერნატის ფორმით დაძლეულთა სიების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია 2023-2024 სასწავლო წლისთვის მისაღებ პირველკლასელთა რიცხოვნობის ასახვის ვადების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ქალაქ ასტანაში დაგეგმილი სასწავლო-საგანმანათლებლო კურსის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია პროექტის - „სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში“ ფარგლებში „მეწარმეობის საფუძვლების“ პროგრამის სწავლების ხელშეწყობის შესახებ;

- აფხაზეთის N2, N3, N5, N6 , N10, N12, N14, N15, N21, საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია საჯარო სკოლებისათვის, რომლებშიც არ არის წარმოდგენილი სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის შრომის ანაზღაურებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დადგენის შესახებ";
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია კომიქსების საერთაშორისო კონკურსში მოსწავლეთა მონაწილეობის თაობაზე;
- სსიპ ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლას გადაეგზავნა ინფორმაცია სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან სარემონტო სამუშაოებისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია პირველკლასელთა პორტაბელური კომპიუტერების (ე.წ. „ბუკების") პირველადი ჩართვის ინსტრუქციისა (2023 წელი) და PIN-ს დაყენების შესახებ;
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია სსიპ ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის წარდგენის თაობაზე;
- აფხაზეთის №6, №11 საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია საერთაშორისო ვორქშოფის მოსამზადებლად კითხვარის შევსების შესახებ;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ქვეპროგრამის - „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად" ფარგლებში, „ქართულის ენის საზაფხულო სკოლაში" მონაწილეთა შესახებ;
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის, გალის რაიონის ომამდელი საზღვრის 30 სკოლისთვის გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოყოფის თაობაზე;
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის, გალის რაიონის ომამდელი საზღვრის 30 სკოლის მოსწავლისთვის საჭირო რაოდენობის კომპიუტერების გამოყოფის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია 2023-2024 სასწავლო წლისათვის მომზადების პროცესში, სკოლების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით, შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია მასწავლებლის მიერ მასწავლებლის პრაქტიკული ნაწილის შეფასების შესახებ დასკვნის გასაჩივრებისთვის გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის ფორმისა და გასაჩივრების ვადის დამტკიცების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო და გალის რაიონის ოკუპირებული ტერიტორიის საშუალო სკოლების მედალოსნების 2023 წლის კანდიდატთა შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია პროექტის - „ისტორიის კონკურსები" განხორციელების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია გასულ წლებში შეძენილი და გადასაცემი ოქროს, ვერცხლის მედლების (2009-2018 წლები) ნაშთებთან დაკავშირებით;
- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა 2023-2024 სასწავლო წლისთვის, ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებში პირველკლასელთა დამრიგებლების რაოდენობის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია პარალელური კლასებისა და საგაკვეთილო განრიგის შექმნის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ინგლისური ენის მოქმედი მასწავლებლებისათვის ონლაინ კურსის შეთავაზებასთან დაკავშირებით;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ბავშვთა ნახატების საერთაშორისო ონლაინ-კონკურსის „მეგობრობის მაგიის" თაობაზე;

- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების მიერ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან ამოღებული შედარების აქტების შესახებ;
- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა წერილი 2023-2024 სასწავლო წლისთვის ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონის სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების მოთხოვნის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია რეგისტრირებული პირველკლასელების ბუკების გაცემის თაობაზე;
- გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების სოციალური პროგრამის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ფრანგულენოვანი მასწავლებლებისთვის განკუთვნილი „ერთწლიანი მობილობის პროგრამა სეიშელის კუნძულებზე“ დაგეგმილი ონლაინ ვებინარის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსის მქონე პირთა შეფასების პროცესთან დაკავშირებით;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია პროექტის - „დებატები უკეთესი განათლებისთვის"- ფარგლებში შესარჩევი კონკურსის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით მოქმედ საჯარო და კერძო სკოლებში სასკოლო სპორტის საერთაშორისო დღის აღნიშვნის თაობაზე სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების ჩატარების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობის - „მედიაწიგნიერების დღე სკოლებში“- თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „საჯარო სკოლებისათვის, რომლებშიც არ არის წარმოდგენილი საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის შრომის ანაზღაურებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 მარტის N330825 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე;
- გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 21 სექტემბრის N1213778 ბრძანება, „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების უფლების მინიჭების შესახებ";
- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია 2023-2024 სასწავლო წლის I-II-III კლასელების შესახებ, პროგრამის - „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში პორტაბელური კომპიუტერის საჭიროების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია 2022-2024 სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ალტერნატიული მოდელების შემუშავებისა და დანერგვის კონცეფციის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, რეგიონების სპეციალური მასწავლებლების ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროექტის „რეგიონული სასწავლო ტური სპეციალური მასწავლებლებისთვის“ განხორციელების თაობაზე;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აბიტურიენტებისათვის საბაკალავრო პროგრამების საინფორმაციო პრეზენტაციების ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და გაცემის წესის შესაბამისად, მასწავლებლობის მაძიებლის უფლებამოსილების შესახებ აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსების შეფასების შედეგების საპრეტენზიო განაცხადით გასაჩივრების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „თავშესაფრის მაძიებელი, საერთაშორისო დაცვის მქონე და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში მოთავსებული არასრულწლოვანებისათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით მოქმედი საჯარო და კერძო სკოლებისათვის ელექტრონული ჟურნალის - „სასკოლო სპორტი“ - მორიგი ნომრის მიწოდების თაობაზე;
- აფხაზეთის N5, N6, N21 საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია პროგრამის - „ჩემი პირველი კომპიუტერი“- ფარგლებში I-II-III კლასელი მოსწავლეების პორტაბელური კომპიუტერებით დაკმაყოფილების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოში ა.შ.შ.-ის მშვიდობის კორპუსის მიერ გამოცხადებული კონკურსის თაობაზე, რომელიც ეხებოდა ქართული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამას;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „ზოგადი განათლების I-XI კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე I-XI კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარებისა და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენის შესახებ“;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ამერიკული უნივერსიტეტების პროგრამირების უფასო სერტიფიცირებული კურსების შესახებ;
- მომზადდა და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას გადაეგზავნა სსიპ-აფხაზეთის საჯარო სკოლების მიერ შევსებული კითხვარი გარე დაინტერესებული მხარეების მოლოდინებისა და საჭიროებების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ერლომ ახვლედიანის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კონკურსის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის პროექტის - „კინო სკოლაში“ შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია მოსწავლეებისთვის ლიტერატურული კონკურსის - „თანამედროვე გალაკტიონი“ თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ევროპის უნივერსიტეტის მიერ სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია კავკასიის უნივერსიტეტის მიერ საბაკალავრო პროგრამების შესახებ საჯარო და კერძო სკოლებში აბიტურიენტებისათვის საინფორმაციო შეხვედრის ჩატარების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია საჯარო სკოლებში მომუშავე სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის შესახებ გარკვეული სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია დაწყებითი საფეხურის პედაგოგებისთვის კონკურსში „მწვანე ჯილდო“ მონაწილეობის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ელექტრონული ბაზის EBSCO EXPLORA-ს შესაძლებლობებისა და სარგებლობის შესახებ zoom პლატფორმის მეშვეობით შეხვედრების ორგანიზების თაობაზე;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია, რომელიც ეხება პროექტის - „ჩართეს“ განხორციელებას საქართველოს რეგიონებში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ განხორციელებულ საზოგადოებრივ სამუშაოებზე სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების ქვეპროგრამის გაცნობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვების, მოზარდებისა და მათი ოჯახების ფსიქოსოციალური ცენტრის მომსახურების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია „საჯარო სკოლებისათვის, რომლებშიც არ არის წარმოდგენილი სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის შრომის ანაზღაურებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 მარტის N330825 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია პროექტის „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მხარდაჭერა კვლევის, მონიტორინგისა და ბავშვებისთვის ინფორმაციის ადაპტირების საშუალებით“ თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით მოქმედი საჯარო და კერძო სკოლებისათვის სასკოლო ლიგის შიდა საბოლოო თამაშებში მონაწილეობისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის მიწოდების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია საჯარო სკოლების ავტორიზაციასთან დაკავშირებით;
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების ბაზაზე არსებული კომპიუტერული ტექნიკის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები"-ს შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია სსიპ - ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის მიერ ორგანიზებული მასშტაბური პროექტის ,,STEM ოლიმპიადა“ შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებსა და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის 2023-2024 ახალი ეტაპის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის მომზადება“ ინდივიდუალური ასისტენტების მონაწილეობის თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლის დირექტორის მონაცემები ფოკუს ჯგუფში მონაწილეობისათვის;
- მომზადდა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაეგზავნა გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებული ინფორმაცია ოკუპირებული გალის რაიონში მოქმედი სკოლების მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობის შესახებ;
- მომზადდა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად სსიპ-აფხაზეთის საჯარო სკოლების 2023 წლის ანგარიშები გადაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს;

- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“- ის შესაბამისად, დანაშაულის პრევენციის მიმართულებით სკოლებში შეხვედრების ორგანიზების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლებში არსებული ვიდეოკამერების რაოდენობის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნათ ინფორმაცია საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრს გადაეგზავნა ქალაქ ზუგდიდში საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების მოთხოვნის საფუძველზე, საგნობრივი გადამზადების ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ;
- სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ოკუპირებული გალის რაიონის 21 საშუალო სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის საჭიროების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია 2023-2024 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურის ჩატარების თაობაზე.

„აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“
(პროგრამის კოდი: 06 05)

პროგრამის მიზანი:
ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერების მხარდაჭერა და სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:
აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს აფხაზეთიდან დევნილ მეცნიერთა ინტელექტუალური პოტენციალის გაღრმავებას და აფხაზეთთან დაკავშირებული თემების სამეცნიერო-აკადემიურ წრეებში კიდევ უფრო წარმოჩენას.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

კომისიის გადაწყვეტილებით, საანგარიშო პერიოდში, დაფინანსდა წარმოდგენილი შემდეგი პროექტები:

- ტიტე მოსია - „რუსთაველის რელიგიური მსოფლმხედველობის კვლევის ისტორიიდან“;
- როლანდ თოფჩიშვილი - „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების დამახინჯება და არა მხოლოდ...“
- კახაბერ ფიფია - „არისტარქე კოლხი“;
- სალომე ქარჩავა - დუბროვნიკში ევროპის სტომატოლოგთა ასოციაციის საზაფხულო ბანაკში გამგზავრება (თბილისი-მიუნჰენი-დუბროვნიკი-მიუნჰენი-თბილისი);
- სალომე შონია - ქ. ვენის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში სასწავლებლად გამგზავრება (ქუთაისი-ვენის მიმართულებით);
- სოფია ჯალაღონია - დაფინანსდა იაპონიის ცუკუბას უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სასწავლებლად გამგზავრება (თბილისი-დოჰა-ტოკიო);
- თამილა ზვიადაძე - „მწერლის ენობრივი-შემოქმედებითი სამყარო“;
- რევაზ ხვისტანი - „არქეოლოგიური ნარკვევები“.

წლის ბიუჯეტი: 13 253 ლარი;
წლის ხარჯი: 13 253 ლარი;
წლის შესრულება: 100%.

გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (06 03)

პრიორიტეტის დასახელება
ინსტიტუციური განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია და ქვეყნის ინტერესების მხარდაჭერა (პროგრამების ადმინისტრირება და მართვა).

პრიორიტეტის მიზანი:

- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, კულტურისა და სპორტისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროების ხელშეწყობა ოკუპირებულ გალის რაიონში ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების საქმეში;
- ✓ ქართული სულისკვეთების შენარჩუნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე;
- ✓ ხარისხიანი განათლების გავრცელება;
- ✓ ზრუნვა მშობლიურ - ქართულ ენაზე სწავლის უფლებების აღდგენაზე, ქართული და აფხაზური ენების განვითარებაზე, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროების ხელშეწყობა ოკუპირებულ გალის რაიონში ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების საქმეში; ქართული სულისკვეთების შენარჩუნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე; ხარისხიანი განათლების გავრცელება; ზრუნვა მშობლიურ - ქართულ ენაზე სწავლის უფლებების აღდგენაზე, ქართული და აფხაზური ენების განვითარებაზე, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე;
- ✓ ოკუპირებული გალის რაიონის სასწავლო, სკოლამდელი და სახელოვნებო დაწესებულებების მატერიალურ - ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ მონაცემთა ბაზის შევსება - განახლება;
- ✓ გალის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო ბაღებისა და სახელოვნებო სკოლების მასწავლებელთა და ტექ. მუშაკთა დაფინანსების მიზნით მონაცემების წარდგენა ყოველკვარტალურად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროებში;
- ✓ თანამშრომლობა სოციალურ სააგენტოებთან მასწავლებელთა ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებით, პედაგოგთა რიგებში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით;

- ✓ კონსულტაციების გაწევა ოკუპირებული გალის რაიონის სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგებისა და ხელმძღვანელებისთვის მუშაობისა და თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით;
- ✓ ოკუპირებული გალის რაიონის მოსწავლე–ახალგაზრდობის ჩართვა კონკურსებში, პროექტებსა და ღონისძიებებში, ეროვნულ საგნობრივ და სპორტულ ოლიმპიადებში, ზრუნვა ინტელექტუალური დონის ამაღლებაზე;
- ✓ ეროვნული გამოცდების ხელშეწყობა, აბიტურიენტებისათვის დახმარების გაწევა; ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული უფასო მოსამზადებელი ცენტრების მასწავლებელთათვის კონსულტაციების ჩატარება. მათი ჩართულობის უზრუნველყოფა მოსამზადებელ დისტანციურ გაკვეთილებში, ონლაინ შეხვედრებისა და ღია კარის დღეების ორგანიზება,
- ✓ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარება - განათლების აღიარების წესის შესაბამისად;
- ✓ დაკვირვება ოკუპირებულ გალის რაიონში მიმდინარე პროცესებზე, მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, ზემდგომი ორგანოების ინფორმირება.

მიღწეული შედეგები:

გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად, ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაოები, კერძოდ:

- ➢ გადაამოწმა ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში განთავსებული საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი დაწესებულებების მოსწავლეთა და აღსაზრდელთა კონტინგენტი, სკოლებში დასაქმებული პედაგოგების დემოგრაფიული და სხვა საჭირო მონაცემები. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, დადგენილია შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

- 30 სკოლაში, მოსამზადებლიდან მე -11 კლასის ჩათვლით, ირიცხება 3443 მოსწავლე. მათ აღზრდა - განათლებას ემსახურება 956 მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. აქედან 28 საშუალო სკოლაში **911** მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, ხოლო ნაბაკევსა და მეორე ოტობაიაში მოქმედ 2 საჯარო სკოლაში - 48 მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი;

- 9 საბავშვო ბაღში, ირიცხება 457 აღსაზრდელი, დასაქმებულია 137 მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (მასწავლებელი 62 ტექ.პერსონალი-75);
- 4 სახელოვნებო სკოლაში ირიცხება 250 მოზარდი, დასაქმებულია 36 პირი (აქედან: 20 - მასწავლებელი, 16 - ტექ.პერსონალი);
- სულ სკოლამდელ და სახელოვნებო დაწესებულებებში, ადგილზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დასაქმებულია 82 პედაგოგი და 91 ტექნიკური პერსონალი - 173 ბენეფიციარი.
- მაისში ჩატარებული კვლევის შედეგად, 30 სკოლის 3652 მოსწავლიდან: 3499 - ქართველია, 136 - აფხაზი; 4 - სომეხი, 13 - სხვა ეროვნების;
- დასაქმებული 957 მასწავლებლიდან და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალიდან 879 - ქართველია, 69 - აფხაზი, 7 - რუსი, 2 - სხვა ეროვნების.

მიუხედავად ქართველთა ეთნიკური უმრავლესობისა, სკოლებში მშობლიურ, ქართულ ენაზე სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებით, ვითარება არ შეცვლილა, საათების კვირეული დატვირთვა იგივეა: ტყვარჩელსა და ოჩამჩირეს მიკუთვნებულ 11 სკოლაში - 0 საათი, გალის „ქვედა და ზედა ზონების“ 19 სკოლაში, I-XI კლასებში 1 საათი ეთმობა ქართულ ენას, 1 - ქართული

ლიტერატურას.ამ 19 სკოლიდან ქალაქ გალის N1 საშუალო სკოლაში ქართული ენა ისწავლება მხოლოდ მე-5 კლასში ფაკულტატიურის სახით, 2 საათი კვირეული დატვირთვით.

აფხაზური ენის სწავლებას კვირის განმავლობაში ეთმობა 27 -29 საათი „ქვედა ზონის“ I-XI და სხვა „ზონების“ სკოლების II-XI კლასებში.

ყველა საგანი ისწავლება რუსულ ენაზე, რუსეთის ფედერაციის სკოლებისათვის დაბეჭდილი სახელმძღვანელოებით. თვით რუსული ენისა და ლიტერატურის კვირეული დატვირთვა I-XI კლასებში 79 საათია, ხოლო გალის „ზედა და ქვედა ზონების“ სკოლებში, რიგით საგნად მიჩნეულია მშობლიური ქართული ენა - 57 საათი.
იძულებითი რუსულენოვანი აღზრდა - განათლება მიმდინარეობს საბავშვო ბაღებსა და სახელოვნებო სკოლებში.
მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართული განათლების მქონე კადრების ჩანაცვლება „აგუ“-ს („აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ სოხუმში) კურსდამთავრებული ახალგაზრდებით, განსაკუთრებით ქალაქის ორივე სკოლაში. უკვე 9 სკოლას ჰყავს აფხაზი დირექტორი. სკოლებში მოქმედი ქართული განათლების მქონე პედაგოგები, გათავისუფლებისა და სამუშაო ადგილის დაკარგვის შიშით, ხელახლა იღებენ უმაღლეს განათლებას რუსულ ენაზე „აგუ“-ში დაუსწრებლად ან ქ. გალში არსებული ჰუმანიტარული კოლეჯის პედაგოგიურ ფაკულტეტზე. ქართული უმაღლესი განათლების მქონე 40 მასწავლებელს დაუდგინდა გალის ჰუმანიტარული კოლეჯის დამატებით დამთავრების ფაქტი.

გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლების დასახმარებლად, ქართული ენის შენარჩუნების, ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან მოსწავლეებისა და მასწავლებლების დაახლოების, ხარისხიანი განათლების გავრცელების მიზნით, უსაფრთხოების დაცვით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე და დანარჩენ საქართველოში ჰიბრიდულად (დისტანციურად და ფიზიკურ გარემოში - შესაძლებლობის ფარგლებში) ხელი შეუწყო სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალისტების - განათლების ექსპერტების მიერ, გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასაქმებული მასწავლებლების კოორდინირებული თანამშრომლობით, მშობლიურ, ქართულ ენაზე, სხვადასხვა სკოლის მაღალი საფეხურის 81 მოსწავლეს, 2022-2023 სასწავლო წლის სექტემბრიდან, მთელი კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად, სკოლის შემდგომ უტარდებოდათ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, ინგლისური ენის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფსიქოლოგის დისტანციური გაკვეთილები. (წლის ბოლოს, *პროექტში ჩართულ მოსწავლეებს დისტანციურად ჩაუტარდათ ტესტირება, გადამოწმდა პირველ სემესტრში ქართულ ენასა და ლიტერატურაში მიღებული ცოდნა);*
- მარტის თვეში, მედია-პროექტში „ეტალონი“ მონაწილეობის მისაღებად, რესურსცენტრიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, განაცხადით შემოვიდა გალის რაიონის ომამდელი საზღვრების 17 სკოლის 118 მოსწავლე. სასკოლო პირველი შესარჩევი ტური ადგილებზე ჩატარდა აპრილის დასაწყისში, დისტანციურ რეჟიმში. მეორე ტურში-თბილისში, აფხაზეთის პირველობაზე - აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს არტ გალერეაში, მონაწილეობა მიიღეს პირველ ტურში გამარჯვებულმა მოსწავლეებმა;
- საანგარიშო პერიოდში რესურსცენტრში დარეგისტრირდა მათემატიკის ოლიმპიადაზე („ევერესტი“) მონაწილეობის მსურველი 19 სკოლის II-VI კლასების 189 მოსწავლე. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 97-მა (67%) მოზარდმა. მათ შორის 31 არის მეორეკლასელი, 10 - მესამეკლასელი, 20 - მეოთხეკლასელი, 20 - მეხუთეკლასელი, 7 - მეექვსეკლასელი. ფინალური ტური გაიმართა 2023 წლის 3 დეკემბერს, ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში, გადმოსასვლელად დაწესებული საბუთების

უქონლობის გამო, მონაწილეობის მიღება შეძლო მხოლოდ 56-მა (58%) გალელმა მოსწავლემ;

- ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშესაწყობად, გალის რესურსცენტრმა დაარეგისტრირა ოკუპირებული გალის რაიონის თაგილონის, აჩიგვარის, ოტობაიის N1, ზემო ბარღების, წარჩეს N1 სკოლის მოსწავლეები მინი ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში ენგურს აქეთ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ დაგეგმილ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. ოლიმპიადა გაიმართა აპრილის ბოლოს;
- მაისში, რაგბის ფედერაციის ორგანიზებითა (ს. ესაკია) და აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს (ლ. კვარაცხელია) ხელშეწყობით ასპინძის მუნიციპალიტეტში, რაგბის კლუბ „ტაოს“ საწვრთნელ ბაზაზე რაგბის ფესტივალი გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღო ოკუპირებული ტერიტორიიდან გალის რესურსცენტრის დახმარებით გადმოყვანილმა საბერიოს N2 , სიდის, ფიჩორის, გაგიდის სკოლების მოსწავლეებმა (20 მოსწავლე). ბავშვები ფესტივალში ასპარეზობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გუნდებთან ერთად. ფესტივალის შემდეგ მოსწავლეებმა მოინახულეს მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილები: ხერთვისის ციხე და ვარძიის სამონასტრო კომპლექსი;
- შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშესაწყობად, სსიპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სააგენტოს პროექტის ფარგლებში, მუსიკასა და ხატვაში ჩატარდა (ზალიკო სულაკაური, დავით ცინცაძე) ონლაინ გაკვეთილები, კვირაში 2- 2 ჯერ. ჩართული იყო გალის რაიონის სხვადასხვა სკოლის 15 მოსწავლე ხატვის, ხოლო 16 - მუსიკის გაკვეთილებში. სააგენტომ, საახალწლო ზეიმის ფარგლებში, ქვეპროგრამაში მონაწილე ბავშვები ქალაქ ზუგდიდში სპექტაკლს - „აბუ და ბეს“ დაესწრნენ. (ბავშვების უსაფრთხოდ გადმოყვანის ორგანიზება მშობლებთან ერთად გალის რესურსცენტრმა უზრუნველყო).
- გალის რესურსცენტრის დახმარებით, სხვადასხვა სკოლის 24 მოსწავლე, კვირაში 2-ჯერ დისტანციურად ჩართული იყო აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვის სამსახურის პროექტში - „ონლაინ კლასი - კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა“. *(გაკვეთილებზე დასწრებას კოორდინაციას უწევდნენ გალის რესურსცენტრის თანამშრომლები: ლ. ცატავა, ნ. შამუგია).*

გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ მიმართულებებზე ჩატარდა 11 ონლაინ გაკვეთილი, რომელსაც უძღვებოდა ქალბატონი მიმოზა გოლიჯაშვილი. ტრენერმა შეძლო, ტრენინგის მონაწილეებს შემოქმედებით და მეგობრულ გარემოში ეგრძნოთ თავი, ძალიან საინტერესოდ მიწოდებული მასალა ხელს უწყობდა დისკუსიებში გალელი მოსწავლეების ჩართვას. აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ 20 საინტერესო გაკვეთილი ჩაატარა ბატონმა ჯაბა ლაბაძემ. გალელი მონაწილეებისთვის ეს იყო ცოდნის გაღრმავების, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნების, სამეგობრო წრის გაფართოების საუკეთესო საშუალება.

გალელი მოზარდების მიერ გამოგზავნილი მხატვრული ჩანახატები დაიბეჭდა საყმაწვილო ჟურნალებში - „იალქანსა” და „აფქიოში”.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარება:

საანგარიშო პერიოდში, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების აღიარების კომისიის სხდომებზე, გალის რესურსცენტრმა წარმოადგინა გალის რაიონის სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა საფეხურზე მიღებული განათლების აღიარებისათვის საჭირო დამუშავებული დოკუმენტები. (აღიარებულ იქნა: სრული ზოგადი განათლება - 306, საბაზო განათლება - 17 და სხვადასხვა (ცალკეულ) კლასში მიღებული განათლება -108).

განათლების აღიარების კომისიის სხდომებზე, „განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად, მიმდინარეობდა აბიტურიენტების განათლების აღიარებისათვის საჭირო დოკუმენტების (პირადობის მოწმობის ასლი, დასტური მასწავლებლების ხელმოწერით, აკადემიური მოსწრება, კლასიდან კლასში გადასვლის და სკოლის დამთავრების ბრძანება, პედსაბჭოს ოქმები და სხვა) განხილვა.

აბიტურიენტების ხელშეწყობა:

2022-2023 სასწავლო წელს სკოლა დაამთავრა 320-მა მე-11 კლასის მოსწავლემ. აქედან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვეპროგრამის „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადების და აბიტურიენტებისათვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელშეწყობის“ ფარგლებში, სავალდებულო და არჩევით სხვადასხვა საგანში მშობლიურ ქართულ ენაზე ფიზიკურ გარემოში მეცადინეობს 250 მოსწავლე, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების მიზნით, ქვეპროგრამა ხორციელდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და გალის რესურსცენტრის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, სხვადასხვა საგნის ადგილობრივი 46 მასწავლებლის ჩართულობით. მასწავლებლებს აპრილისა და ივნისის თვეებში გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტების მიერ ჩაუტარდათ კონსულტაციები, გადაეცათ მეთოდური ლიტერატურა.

- მარტის პირველი რიცხვებიდან 3 აპრილის ჩათვლით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა აბიტურიენტთა რეგისტრაცია ეროვნული გამოცდებისათვის. პირველადი მონაცემებით, რესურსცენტრის დახმარებით, ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად დარეგისტრირდა გალის რაიონის ომამდელი საზღვრების დამამთავრებელი კლასის 180-მდე აბიტურიენტი;
- პირველ კვარტალში დაიწყო აბიტურიენტების განათლების აღიარებისათვის საჭირო დოკუმენტების (პირადობის მოწმობის ასლი, დასტური მასწავლებლების ხელმოწერით, აკადემიური მოსწრება, კლასიდან კლასში გადასვლის და სკოლის დამთავრების ბრძანება და სხვა) მომზადების პროცესი;
- აპრილში, რესურსცენტრის ორგანიზებით, ქ. ზუგდიდში, აფხაზეთის N1 საჯარო სკოლაში, ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებიდან გადმოსული აბიტურიენტებისათვის ჩატარდა ღია კარის დღე. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტებმა (მ. გაბუნია, შ. კერესელიძე, თ. ანჯაფარიძე და სხვები) აბიტურიენტებს გააცნეს გამოცდებთან დაკავშირებული სიახლეები და გასცეს ამომწურავი პასუხები დასმულ შეკითხვებზე.
- 17 მარტს აფხაზეთის N1 საჯარო სკოლაში, ქ.ზუგდიდში გალის რესურსცენტრმა უზრუნველყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე განთავსებული 30 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორის და მე-11 კლასების დამრიგებლების შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე, გალის რესურსცენტრის თანამშრომლები, 60-მდე მასწავლებელი უშუალოდ ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრებიდან;

(შეხვედრა იყო საინფორმაციო ხასიათის და სხვა საკითხებთან ერთად ეხებოდა სკოლადამამთავრებელი ახალგაზრდების მიერ ეროვნული გამოცდებით ან გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების საკითხს, პროფესიული განათლების მნიშვნელობას და სხვა. შეხვედრა გაიმართა დიალოგის რეჟიმში. პედაგოგებმა დასმულ შეკითხვებზე მიიღეს ამომწურავი პასუხები, ყურადღება გაამახვილეს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. განსაკუთრებით ყურადსაღები იყო შშმ და სსმ ბავშვებთან მომუშავე პედაგოგების გადამზადების თემა).

- აპრილში, ქ. ზუგდიდში, რესურსცენტრის ორგანიზებით აფხაზეთის N1 საჯარო სკოლაში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტების მიერ ჩატარდა ღია კარის დღე, რომელსაც ესწრებოდნენ აბიტურიენტები ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებიდან. აბიტურიენტებმა ცენტრის სპეციალისტებისგან (მ. გაბუნია, შ. კერესელიძე, თ. ანჯაფარიძე და სხვები) დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

გალის რაიონის სკოლების კურსდამამთავრებელთა სკოლისშემდგომი საქმიანობის, მათი სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმირებულობის მიზნით, ყველა სკოლის დირექტორს გადაეგზავნა შეტყობინება. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წელს გალის რაიონის სხვადასხვა სკოლას ყავს 320 კურსდამამთავრებელი. მეთერთმეტე კლასი არ არის მხოლოდ რეჩხის საშ. სკოლაში. ჩვენს ხელთ არსებული წინასწარი მონაცემების თანახმად, საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას გეგმავს 224 მოზარდი, რაც კურსდამამთავრებელთა საერთო რაოდენობის 73%-ია. აფხაზურ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე ფიქრობს 23(7,5%)

კურსდამთავრებული, წინასწარი მონაცემებით გალის კოლეჯში სწავლას გააგრძელებს 41(13,44%) რუსეთში სწავლის გაგრძელებას გეგმავს - 6 (1,96%) სწავლის გაგრძელებას არ აპირებს 41(13,44%) მოცემულ ინფორმაციაში არ იგულისხმება მზიურის სკოლა.

- 1 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით, გალის რესურსცენტრის თანამშრომლების დახმარებით, ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს პორტალზე დარეგისტრირდა გალის რაიონის სხვადასხვა სკოლის 235 აბიტურიენტი. მათივე თანხმობის საფუძველზე, შემდგომი რეაგირებისათვის გადამოწმდა და სამინისტროს წარედგინა თითოეულის პირადი მონაცემები;

21 სექტემბერს, „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის, ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების უფლების მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N1213778 ბრძანების საფუძველზე, ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 235 კურსდამთავრებული, მათ შორის 233 ოკუპირებული გალის რაიონის სხვადასხვა სკოლიდან.

- გალის რაიონის სხვადასხვა სკოლიდან 9 კურსდამთავრებული ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით ჩაირიცხა, (ოქუმის, საბერიოს N2, ოტობაიის N1, ნაბაკევის N13 საჯარო, მე-2 ოტობაიაში აფხაზეთის N16 საჯარო);
- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა ნანა გაბელიამ ქ.ზუგდიდში, აფხაზეთის N1 საჯარო სკოლაში, გალის ომამდელი საზღვრების სკოლებთან ჩატარებულ შეხვედრაზე საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიულოცა მეორე ოტობაიაში აფხაზეთის N16 საჯარო სკოლის ყოფილ დირექტორს ნანული ბიბლაიას და გადასცა პედაგოგის საპატიო სამკერდე ნიშანი.

მოსწავლეთა წახალისება

- ✓ მიმდინარე წელს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არსებულ სკოლებს მიეწოდათ ინფორმაცია „წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის“ შესახებ. ელექტრონულად მიღებული მონაცემებით გამოვლინდა 13 წარჩინებული მოსწავლე. ოქროს მედალზე წარდგენილ იქნა - 4 ; ვერცხლის მედალზე -9. მათ შორის გალის №1 საშუალო სკოლიდან - 3 კურსდამთავრებული, გალის №2 საშუალო სკოლიდან - 7, საბერიოს №2 საშუალო სკოლიდან -2, ნარინჯოვანის საშუალო სკოლიდან - 1;
- ✓ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პროგრამის - „ჩემი პირველი კომპიუტერი“- ფარგლებში, სკოლებიდან მიღებული მონაცემების შესაბამისად, გამოვლინდა: გალის №2 საშუალო სკოლის -2 და საბერიოს №2 საშუალო სკოლის-1 წარჩინებული ცხრაკლასდამთავრებული, რომელთა საბაზო საფეხურის საერთო ნიშანი დამრგვალების გარეშე შეადგენს 10-ს;
- ✓ პროგრამის - „ჩემი პირველი კომპიუტერი“- ფარგლებში, გალის რაიონის 30 სკოლის 286 პირველკლასელს და 32 დამრიგებელს გადაეცა სსიპ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან მიღებული პორტაბელური კომპიუტერები და სახელმძღვანელოები: დედაენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მუსიკა, ხელოვნება, ამ საგნების მეთოდური სახელმძღვანელოები გადაეცათ დამრიგებლებს;
- ✓ მიუხედავად ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაწესებული აკრძალვებისა, 30-ვე სკოლის II-XI კლასელისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ქ. ზუგდიდში

გადაეცათ ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებული სახელმძღვანელოები (12 088 ერთეული).

რესურსცენტრში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ოკუპირებული ტერიტორიის სკოლების მოსწავლეების დასასვენებელ, სასწავლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში გამგზავრებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- ✓ ესპანეთი - მადრიდი (11 ბავშვი);
- ✓ ანაკლია - „მომავლის ბანაკი“(40 მოსწავლე);
- ✓ შაორის ახალგაზრდული ბანაკი (61 მოსწავლე);
- ✓ სალიბაურის „ქართული ენის საზაფხულო ბანაკი“ (52 მოსწავლე);
- ✓ რუხის საფეხბურთო აკადემია (20 ნორჩი ფეხბურთელი);
- ✓ შაორის ახალგაზრდული ბანაკი (61 მოსწავლე);
- ✓ საზაფხულო ბანაკი ქობულეთში (21 მოსწავლე).

ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე: საანგარიშო პერიოდში, დისტანციურ რეჟიმში, ზუმის პლატფორმის გამოყენებით, ჩატარდა მასწავლებელთა საგნობრივი ტრენინგები:*ბუნებისმეტყველება - 63 მასწავლებელი, ბიოლოგია - 26 მასწავლებელი, გეოგრაფია - 18 მასწავლებელი, სპორტი - 22 მასწავლებელი, ფიზიკის და სტემის ტრენინგი - 7 მასწავლებელი, ბავშვთა აღზრდის მეთოდიკა - 10 მასწავლებელი, საინფორმაციო ტექნოლოგიები - 11 მასწავლებელი, კურიკულუმი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისათვის საფეხურების მიხედვით - ესწრებოდა 19 პედაგოგი, არაფორმალური განათლება- ესწრებოდა სხვადასხვა საგნის 56 პედაგოგი და სხვა). I-IV კვარტლებში პროფესიული დონე აიმაღლა სხვადასხვა საგნის 500-მდე პედაგოგმა.*

პედაგოგების დასწრებას დისტანციურ და ფიზიკურ გარემოში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფდა გალის რესურსცენტრი (კოორდინატორი - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ნინო წულაია).

- ➢ მარტი - გარემოსდაცვითი საერთაშორისო ორგანიზაცია CENN-ის სამეგრელოს და აფხაზეთის კოორდინატორის მ. კოდუას მიერ ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდნენ გალის სხვადასხვა სკოლის გარემოს ნორჩ დამცველ მოსწავლეთა კლუბების ხელმძღვანელი მასწავლებლები. სკოლებმა მონაწილეობა მიიღეს ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია - 2023-ში;
- ➢ ივნისი - პედაგოგები, ოტობაიის N1, თაგილონის, ნაბაკევის, მეორე ოტობაიის, ჭუბურხინჯის N2 საშ. სკოლებიდან მონაწილეობდნენ საზაფხულო სკოლის მუშაობაში. დაჯილდოვდნენ CENN-ის და USAD-ს სიგელებით. წარმოდგენილი პროექტით მოიპოვეს დაფინანსება, რომლითაც დაგეგმილი აქვთ განახორციელონ აქტივობა გალის რაიონში ბუნების დაცვის მიმართულებით;
- ➢ **აგვისტო -** ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლების პედაგოგების მხარდასაჭერად ქ. ზუგდიდში, აფხაზეთის N1 საჯარო სკოლაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი ნანა გაბელია, მინისტრის პირველი მოადგილე ზვიად ბულისკერია, მინისტრის მოადგილე ნინო ლობჟანიძე, მინისტრის მრჩეველი ეკატერინე ჭითაშვილი ესწრებოდნენ. სკოლების ხელმძღვანელებმა და პედაგოგებმა ისაუბრეს სკოლებში არსებულ პრობლემებზე, მიმდინარე პროცესებზე.

დაზღვევა

საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამაში 2023 წლის საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით ჩართულია 702 პედაგოგი.

სკოლებისადმი გაწეული დახმარება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის საქმეში:

საანგარიშო პერიოდში, N12 საჯარო სკოლის ბაზაზე ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრების ყველა სკოლას, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ გადმოცემული პრინტერები, კარტრიჯები, პერსონალური კომპიუტერები და წიგნები:

- ✓ ერთი ცალი პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი - 1043,00 ლარი (ცხრაკლასდამთავრებულ წარჩინებულ მოსწავლეს);
- ✓ კალათბურთის მაისურები და შორტები (8 ცალი - 360 ლარი);
- ✓ ყველა საგნის საგამოცდო ტესტები, კრებულები, პასუხების ფურცლები და CD დისკები (475 ცალი - 907,00 ლარი);
- ✓ 30 ერთეული პრინტერი და 70 ერთეული კარტრიჯი (50 760,00 ლარი);
- ✓ 30 ერთეული ლეპტოპი (კომპიუტერი –50 640,00 ლარი);
- ✓ 396 ცალი, სხვადასხვა დასახელების წიგნი - 4 582,54 ლარი;
- ✓ სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო საქონელი - 3 083,10 ლარი;
- ✓ 150 შეკვრა საბეჭდი ქაღალდი - 1 875,00 ლარი;
- ✓ 2 ერთეული სადემონსტრაციო ჭადრაკის დაფა -260,82 ლარი;
- ✓ 9 ცალი ოქროს (მოოქროვილი), 6 ცალი ვერცხლის (მოვერცხლილი) მედალი, 15 ცალი ჩასადები კოლოფი და მედალოსანი მოსწავლეებისათვის გადასაცემი სერტიფიკატი - 600,60 ლარი;
- ✓ ხატვის სწავლების ონლაინ სკოლის მოზარდებისათვის სახატავი საშუალებები - 660, 00 ლარი;
- ✓ სასკოლო სახელმძღვანელოები სკოლებს (პირველი ეტაპი) – 20 777,74 ლარი;
- ✓ პორტაბელური კომპიუტერი პირველკლასელებს (286 ერთეული) და კლასის დამრიგებლებს (32 ერთეული) – 18 2214,00 ლარი;
- ✓ ოტობაიის N1 საშუალო სკოლას საგანმანათლებლო ინვენტარი (მუსიკალური აპარატურა) – 7 090,00 ლარი;
- ✓ სასკოლო სახელმძღვანელოები სკოლებს (მეორე ეტაპი) -24 608,96 ლარი;
- ✓ 2021-2022 და 2022-23 სასწავლო წლების ცხრა კლასდამთავრებულ წარჩინებულ ხუთ მოსწავლეს პორტაბელური კომპიუტერი - 4 980,00 ლარი;

მიღება-ჩაბარების აქტები დამოწმებულია ორივე მხარის მიერ და მატერიალურად ინახება რესურსცენტრის ბუღალტერიაში .

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო ბაღებისა და სახელოვნებო სკოლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა:

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამის შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი სკოლებიდან მიღებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რესურსცენტრის მიერ კვარტალურად მომზადდა და შემდგომი რეაგირებისთვის სამინისტროს გადაეცა 28 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მასწავლებლისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალის მონაცემები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყველა ბენეფიციარს თანხა დროულად ჩაურიცხა საქართველოს ბანკში გახსნილ პირად საბანკო ანგარიშებზე.

2023 წლის I კვარტალი - დაფინანსდა 909 ბენეფიციარი:

- მასწავლებელი - 701;
- დირექტორი - 21;
- ტექ.პერსონალი - 187.

2023 წლის I I კვარტალი - დაფინანსდა 912 ბენეფიციარი:

- მასწავლებელი - 702;

- დირექტორი - 21;
- ტექ.პერსონალი - 189.

2023 წლის I I I კვარტალი - დაფინანსდა 910 ბენეფიციარი:

- მასწავლებელი - 701;
- დირექტორი - 21;
- ტექ.პერსონალი - 188.

2023 წლის I V კვარტალი - დაფინანსდა 911 ბენეფიციარი:

- მასწავლებელი - 697;
- დირექტორი - 21;
- ტექ.პერსონალი - 193.

აფხაზეთის N13 და N16 საჯარო სკოლების 46 მასწავლებელი და ადმინისტრაციულ -ტექნიკური პერსონალი დაფინანსდა ვაუჩერული დაფინანსების წესის შესაბამისად.

ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ოკუპირებული ტერიტორიიდან მიღებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს „გალის რაიონის სკოლამდელი და სახელოვნებო დაწესებულებების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამის შესაბამისად, წარვადგინეთ გალის რაიონის ომამდელი საზღვრების 8 საბავშვო ბაღისა და 5 სახელოვნებო სკოლის (მე-4 კვარტალში 4 სახელოვნებო სკოლის) ასევე, ენგურჰესის დასახელებაში მდებარე ს/ბაღის - „ცისარტყელა“ - ბენეფიციარების - აღმზრდელებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მონაცემები. ბენეფიციარებმა დროულად მიიღეს დახმარება პირად საბანკო ანგარიშებზე.

ბიუჯეტი: 215 294 ლარი;
ხარჯი: 214786.16 ლარი;
შესრულება: 99.76 %.

ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი აჟარის მუნიციპალიტეტთან ერთად ყოველწლიურად ატარებს კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ ღონისძიებებს კოდორელი მოსწავლეების მონაწილეობით, ასევე, უზრუნველყოფს კოდორელი მოზარდების ჩართულობას იმ ღონისძიებებში, რომლებიც ტარდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილებისა და წლიური სამუშაო გეგმის ფარგლებში, განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- 12 თებერვალი - ზემო აფხაზეთის კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „კოდორი“, ქალაქ ბოლნისში, კონცერტი გამართა;
- 8 მარტი - ანსამბლმა, ქ. თბილისში, პროფკავშირების სასახლეში, ქალთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა;

- 14 მარტი - ანსამბლმა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში გამართა კონცერტი;
- 30 მარტი - ქალაქ თბილისში ჩატარდა ევროპის სალიცენზიო ტურნირი ძიუდოში (16 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის), სადაც წარმატებით იჭიდავა ზემო აფხაზეთიდან დევნილმა ბერდია კვიციანმა და მოიპოვა საგზური ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად;
- 22 აპრილი - თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში ჩატარდა „ერუდიტი-2023“-ის შესარჩევი ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქვემო ქართლში მცხოვრებმა, კოდორის ხეობიდან დევნილმა V – VII კლასის მოსწავლეებმა, გამოვლინდა 5 ფინალისტი;
- 29 აპრილი - ქ. ქუთაისში ჩატარდა „ერუდიტი-2023“-ის შესარჩევი ტური, მონაწილეობდნენ ქუთაისში მცხოვრები, კოდორის ხეობიდან დევნილი მოსწავლეები, ფინალისთვის შეირჩა 5 საუკეთესო;
- 20 მაისი - ქ. თბილისში ჩატარდა „ერუდიტი-2023“-ის შესარჩევი ტური, რომელშიც მონაწილეობდნენ კოდორის ხეობიდან დევნილი V – VII კლასის მოსწავლეები, მათ შორის შეირჩა 5 ფინალისტი;
- 27 მაისი - გერმანიაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატის ღია ასპარეზობა 18 წლამდე ასაკის K 1-ის წესებით ორთაბრძოლაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კოდორის ხეობიდან დევნილმა გიორგი ქალდანმა და ოქროს მედალი მოიპოვა;
- 3 ივნისი - ქ. თბილისში ჩატარდა „ერუდიტი-2023“-ის ფინალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შესარჩევ ტურებში გამოვლენილმა თხუთმეტმა ფინალისტმა. გამარჯვებული გახდა VII კლასის მოსწავლე მარიამ არღვლიანი, მონაწილეებს დაურიგდათ ფასიანი საჩუქრები;
- 2023-24 სასწავლო წლისთვის აღრიცხულ იქნა ზემო აფხაზეთიდან დევნილი 85 პირველკლასელი, რომლებიც აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტმა დაასაჩუქრა სასკოლო ჩანთებით;
- 2022-23 სასწავლო წელს ზემო აფხაზეთიდან დევნილი 45 აბიტურიენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში, მათგან სამმა 70 %-იანი გრანტი მოიპოვა, ხოლო ორმა - 50%-იანი.

ბიუჯეტი: 113 308 ლარი;
ხარჯი: 113 261.04 ლარი;
შესრულება: 99.96 %.

სამინისტროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახური

კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა

პრიორიტეტის დასახელება: კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა.

პროგრამის დასაბუთება:

აფხაზებსა და ქართველებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ საერთო ტრადიციებით, ხელოვნებითა და კულტურული მემკვიდრეობით. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) კულტურისა და ხელოვნების სფეროში ახდენს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვას და მისი განხორციელების კოორდინაციას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაწესებული საზოგადო მოღვაწეების სახელობის სახელმწიფო პრემიები, რომელთა სახელებიც ერთნაირად ძვირფასია ქართველი და აფხაზი ეთნოსის წარმომადგენლებისათვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

უმაღლეს ჯილდოს წარმოადგენს. პრემიები დაარსებულია (მიმართულია) იმ პირთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართულ-აფხაზური კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში და რომელთა ღვაწლიც დიდია ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების მიმართულებით.

პროგრამა ხელს უწყობს ქართულ-აფხაზური თანამედროვე და ტრადიციული კულტურის მონაპოვართა განვითარება-პოპულარიზაციას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების საყოველთაო აღიარებას, კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას და გაფართოებას.

განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად დასახული მიზნები:

კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამის მიზანს წარმოადგენს კულტურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და მეცნიერების განვითარება და სტიმულირება, ქართულ - აფხაზური ტრადიციული კულტურული კავშირების ხელშეწყობა. ქართულ-აფხაზური კულტურისა და ისტორიული წარსულის პოპულარიზაცია. ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით აფხაზეთის თემატიკის აქტუალიზაცია. ხელოვანთა და მეცნიერთა მხარდაჭერა, მათი ღვაწლის აღიარება და დაფასება.

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სამინისტროს შესაბამისი სამსახური ახორციელებს შემდეგ პროგრამას:

„კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა - 06 07“

ქვეპროგრამა **„ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემია“ (060717)**

პროგრამის დასაბუთება

ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემია გაიცემა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. პრემია წესდება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში შექმნილ ნამუშევრებზე, რომელთაც ტექნიკური, შინაარსობრივი და სხვა ღირებულებათა გამო აღიარება მოიპოვეს ქართული და აფხაზური სახვითი ხელოვნების დარგში.

პროგრამის აღწერა

ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის კონკურსი ცხადდება ორ წელიწადში ერთხელ. პრემიის მოსაპოვებლად ნამუშევრის წარდგენის უფლება აქვთ როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე სასწავლო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობენ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში. კონკურსში გამარჯვებულ პირს მიენიჭება ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება და დიპლომთან ერთად გადაეცემა ფულადი ჯილდო 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

პროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგის განვითარების ხელშეწყობა, ხელოვანთა წახალისება, მხარდაჭერა, მოტივაციის ამაღლება და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია.

მიღწეული შედეგები:

2023 წელს, **ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის** პრემიაზე წარმოდგენილი 14 კონკურსანტიდან, დებულებით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დაცვით, ფარული კენჭისყრით, **ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის** ლაურეატები გახდნენ:

- ალექსანდრე ხუბუა -ფერწერა;
- ვერიკო იობაშვილი - ფერწერა;
- ნინო თალაკვაძე - ქანდაკება ;

ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატების დაჯილდოების ცერემონიალი 2023 წლის 8 დეკემბერს ვალერი არქანიას სახელობის არტგალერეაში გაიმართა.

ბიუჯეტი: 4 480 ლარი;

ხარჯი: 4 478.5 ლარი;

შესრულება: 99.97%.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- 24 აპრილი - ა(ა)იპ სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის კონცერტის ორგანიზება (ვ. არქანიას სახელობის არტგალერეა);
- 25 აპრილი - მადონა გადელიას წიგნის - „ზღვასთან ახლოს“- პრეზენტაციის ორგანიზება (ვ. არქანიას სახელობის არტ გალერეა);
- 25-29 აპრილი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის მიერ ჩატარებულ აფხაზეთის რეგიონული სასკოლო-სპორტული ოლიმპიადის მინი-ფეხბურთის, კალათბურთის და გეზმბრბენის შეჯიბრის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში;
- 21 მაისი - „აფხაზეთობა 2023“ - ორგანიზება და დასკვნითი კონცერტის ჩატარება (დ. ჯაიანის სახელობის დარბაზი);
- 23 მაისი - სვიმონ კანანელის ხსენების დღესთან დაკავშირებით სამების ტაძრის ეზოში ბავშვთა კონცერტის ორგანიზება;
- 23 მაისი - საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ-მაიორ გენო ადამიას ბიუსტის გახსნის ცერემონიალის დაგეგმვა და წაყვანა (გმირთა მოედანი), ასევე გენო ადამიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს ორგანიზება და წაყვანა (გარდენ- ჰოლი);
- 16-19 ივნისი - ქ. ზუგდიდში, დაბა კახათის სტადიონზე, 2011-2012 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა მონაწილეობით, ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩატარდა. ტურნირი აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის, კახათის ბავშვთა ს. კ. „კოლხასა“ და ს.კ „დინამო სოხუმის“ ორგანიზებითა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით მოეწყო;
- 18 ივნისი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის ხელშეწყობით აფხაზეთის ძიუდოს აკადემიამ ჩაატარა აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირი ძიუდოში;
- 18 ივნისი - „გაგრის დღე“, ფოტო-გამოფენა „კადრები აფხაზეთიდან“ (ვ. არქანიას სახელობის არტგალერეა) - კონცერტის ორგანიზება და ჩატარება (დ. ჯაიანის სახელობის დარბაზი);

- 23 ივნისი - საერთაშორისო ოლიმპიური დღის აღსანიშნავად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურისა და აფხაზეთის რეგიონული ოლიმპიური ორგანიზაციის ორგანიზებით, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით, ლისის ტბის მიდამოებში, ტრადიციული ოლიმპიური გარბენი და სხვა სპორტული შეჯიბრებები ჩატარდა. ოლიმპიურ გარბენში 400-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა;
- ივლისი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ხელშეწყობით სამინისტრო გეგმავს ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ტფილისის გუბერნატორის (1889-1897 წ.წ.), გენერალ გიორგი შარვაშიძის საცხოვრებელი სახლის ფასადზე (ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. №2) მემორიალური დაფის განთავსებას, რომლის ორგანიზებას ახდენს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახური. შეთანხმდა მემორიალური დაფის დიზაინი, სამენოვანი წარწერა და IV კვარტალში დაიგეგმა მემორიალის ღონისძიებით გახსნა;
- აგვისტო - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის მიერ შემუშავდა პროექტი - „შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა“, რომლის მიზანია ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების განვითარება, მუსიკისა და ხატვის სწავლების ხელშეწყობა. მოზარდები ონლაინ შეისწავლიან და მოისმენენ გემოვნებიან ქართულ-უცხოურ სიმღერებს, ხოლო ხატვის მიმართულებით დაეუფლებიან ფერწერას, გრაფიკასა და კარიკატურას. აღნიშნულ ქვეპროგრამას ახორციელებს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახური პროექტის მიმდინარეობას უწევს მონიტორინგს. ასევე ჩართულია საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში (პედაგოგების მოძიება, შეთანხმება და დაკავშირება);
- 4-5 აგვისტო - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის ხელშეწყობით ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტი;
- 20 სექტემბერი - სამსახურის ორგანიზებით და ხელშეწყობით გაიმართა გენო ადამიას ხსოვნისადმი მიძღვნილი გუნდური ტურნირი ძიუდოში;
- 28 სექტემბერი - დ. ჯაიანის სახელობის დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა - „სადაც სახლი გველოდება“, ვ. არქანიას სახელობის საგამოფენო სივრცეში კი მოეწყო აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების გამოფენა. აღნიშნული ღონისძიება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის თანაორგანიზებით შედგა;
- 28 სექტემბერი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის ორგანიზებითა და მონაწილეობით საქართველოს პირველი ეროვნული გმირის, საქართველოს პარლამენტის წევრის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ჟიული შარტავას გმირულად დაღუპვიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა (ქ. თბილისი. ნუცუბიძის მე-2 პლატო, ბ. ჟღენტის ქუჩაზე მდებარე სკვერი);
- 1 ოქტომბერი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის ხელშეწყობითა და თანაორგანიზებით ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, „თბილისობის“ დღესასწაულის ფარგლებში, „აფხაზური ეზო“ მოეწყო;
- 19 ოქტომბერი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის თანაორგანიზებით სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრის დასისა და ამერიკის საელჩოს წარმომადგენლების შეხვედრა შედგა;
- 24 ოქტომბერი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის ხელშეწყობით აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების, კულტურისა და სპორტის მუშაკებთან შეხვედრა გაიმართა;

- 14 ნოემბერი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ხელშეწყობით და სამინისტროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის ორგანიზებით თბილისის №150 ბაგა-ბაღის შენობაზე ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ტფილისის გუბერნატორის (1889-1897 წ.წ.), გენერალ გიორგი შარვაშიძის საცხოვრებელი სახლის ფასადზე (ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. №2) მემორიალური დაფა განთავსდა;
- 22 დეკემბერი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის ხელშეწყობით აფხაზეთის სპორტის კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს მიერ დევნილი, წარმატებული სპორტსმენებისა და დამსახურებული მწვრთნელების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა;
- 25 დეკემბერი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის ხელშეწყობით, აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ინიციატივით, თავისუფალ ჭიდაობაში ამირან მაისურაძისა და შოთა კიკაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა.

კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური

აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა

პრიორიტეტის დასახელება:
აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა და შენარჩუნება.

პროგრამის დასაბუთება:
აფხაზეთში მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა კარგავს თავის ავთენტურობას და უნიკალურობას ოკუპანტის მხრიდან ჩადენილი ვანდალური ქმედების შედეგად. საფრთხის წინაშეა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც თავისთავად ახდენს უარყოფით გავლენას ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ აფხაზეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა და მისი პოპულარიზაცია საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად აქცია და შექმნა „აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა“ (06 10).

განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად დასახული მიზნები:

- ყურადღება მიაპყროს და რეაგირება მოახდინოს აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის საკითხებზე;
- აქტიურად ჩაერთოს ფასეულობათა დაცვისა და გადარჩენის პროცესში;
- უზრუნველყოს ფართო საზოგადოებისა და პროფესიული წრეების ჩართულობა.

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

ქვეპროგრამა: ფოტოგამოფენა „კადრები აფხაზეთიდან“ /06 10 18/

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ახალგაზრდა თაობისათვის აფხაზეთთან დაკავშირებული თემატიკა ერთგვარად უცხო და შორეულია, სწორედ ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით ინფორმაციის მიწოდება და აფხაზურ კულტურასთან დაკავშირებული თემატიკის პოპულარიზაცია. ცნობილი და დღემდე უცნობი უნიკალური ფოტოების - „ცნობილი ადამიანები აფხაზეთიდან“ - გაცოცხლება, სხვა რაკურსით წარმოჩენა.
ფოტოგამოფენა გაზრდის აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, თემის აქტუალიზაციას და ამ საკითხისადმი ინტერესს.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება ფოტომასალის მოძიება, გადარჩევა, დაბეჭდვა და გამოფენისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება; ფოტოები გამოიფინება თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. აფხაზეთიდან გამოჩენილ, ღვაწლმოსილ ადამიანებს გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოები საჩუქრებად გადაეცემა, ხოლო ნაწილი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სივრცეში გამოიფინება.

შედეგი:

- მოძიებულ იქნა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ არქივსა და კერძო კოლექციებში არსებული ფოტო მასალები;
- განხორციელდა ფოტოების გადარჩევა;
- მიმდინარე წლის 21 მაისს არქანიას სახელობის არტ გალერეაში აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ფოტო გამოფენა - „ცნობილი ადამიანები აფხაზეთიდან“ - მოეწყო.

ბიუჯეტი: 9 349 ლარი;
ხარჯი: 9 348,40 ლარი;
შესრულება: 100 %.

ქვეპროგრამა: ონლაინ კლასი - კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა /06 10 22/

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ახალგაზრდებში ისტორიის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და აქტუალიზაციის დეფიციტი შეინიშნება. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. დე ფაქტო საზღვრის არსებობა ხელს უშლის კონტროლირებადი ტერიტორიის მიღმა მცხოვრები მოზარდების სრულფასოვან განათლებას, განვითარებასა და ინტეგრაციის პროცესს.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეები ჩაერთვებიან ისტორიის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მიმართულებით მიმდინარე განსხვავებული ფორმატით სწავლების ონლაინ გაკვეთილებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში არაფორმალური განათლების გზით მოსწავლეები ერთვებიან ისტორიის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მიმართულებით მიმდინარე დისტანციურ გაკვეთილებში, რომელიც მოიცავს ხუთი თვის განმავლობაში (თებერვალი - ივნისი), კვირაში ერთხელ ორ ჯგუფთან, 40-40 წუთის ხანგრძლივობით სწავლების განხორციელებას, რაც

ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში აღნიშნული თემატიკით დაინტერესებასა და ინფორმირების გაზრდას.

შედეგი:

- შეირჩა 44 მოსწავლე (გალის რაიონის საშუალო სკოლებიდან - 21 და აფხაზეთის საჯარო სკოლებიდან - 23);
- ხელშეკრულება გაფორმდა პედაგოგთან;
- პედაგოგის მიერ მოსწავლეთათვის სპეციალური მოდული შეიქმნა;
- კვირაში ერთხელ ორ ჯგუფთან 40-40 წუთის ხანგრძლივობით მიმდინარეობდა დისტანციური გაკვეთილები;
- წარმოებდა მოსწავლეთა ჩართულობის მონიტორინგი;
- პედაგოგის მიერ ყოველთვიურად პროექტის მიმდინარეობის შესახებ განხორციელდა ანგარიშის წარდგენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში.

ბიუჯეტი: 4 500 ლარი;
ხარჯი: 4 500 ლარი;
შესრულება: 100 %

ქვეპროგრამა: ბანაკი - კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა /06 10 22/

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოზარდებს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის როლის მნიშვნელობა სათანადოდ გაცნობიერებული არა აქვთ, რადგან სრულფასოვან განათლებას, განვითარებას და ინტეგრაციის პროცესს ხელს უშლის დე ფაქტო საზღვრის არსებობა. საგანმანათლებლო პროგრამიდან საქართველოს ისტორიის სწავლების ამოღებამ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა გამოიწვია. ინფორმაციის დეფიციტი კი თავისთავად იწვევს თემის აქტუალიზაციის შემცირებას.
ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და შემეცნებითი ხასიათის აქტივობები ხელს შეუწყობს მოზარდებში ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას და პიროვნულ განვითარებას.

ქვეპროგრამის აღწერა

- სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება, ტენდერის გამართვა და ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის გამოვლენა;
- ბენეფიციართა შერჩევა;
- მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება.

შედეგი:

- გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
- ტენდერში გამარჯვებულ ი/მ „ირმა გოგიტიძესთან“ გაფორმდა ხელშეკრულება;
- შეირჩნენ ბანაკის მონაწილეები;
- მოხდა შერჩეული მონაწილეების ორგანიზებული ტრანსპორტირება საზაფხულო ბანაკის ბაზამდე და უკან;
- შეიქმნა უსაფრთხო გარემო;
- მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ სამჯერადი კვებით;

- მოეწყო სატრენინგო და თემატურ-გასართობი ღონისძიებების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა;
- ბანაკის მიმდინარეობისას მოსწავლეები ჩართული იყვნენ ტრენინგ/სემინარებში, კულტურულ-შემეცნებით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში;
- ბანაკის მსვლელობისას პარტნიორი კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მოწვეული ტრენერების მიერ ჩატარდა ტრენინგ-სემინარები ისტორიის, ეთნო-კულტურის, კულტურული ფასეულობების, ეკოლოგიის, გარემოსდაცვითი საკითხების მიმართულებით;
- ბანაკის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ბიუჯეტი: 19 620 ლარი;
ხარჯი: 19 620 ლარი;
შესრულება: 100 %.

ქვეპროგრამა: სალექციო კვირეული „აღმოაჩინე აფხაზეთი“ (06/10/11)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

საქართველოს განუყოფელი ნაწილის - აფხაზეთის ისტორიის, კულტურის შესახებ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ინფორმაციის დეფიციტი შეინიშნება. სათანადოდ არ არის გაცნობიერებული აფხაზეთის როლი და მნიშვნელობა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნასა და განვითარებაში. არასრული ინფორმაცია იწვევს თემის აქტუალიზაციის შემცირებას. ამიტომ, მნიშვნელოვანია ისეთი პროცესებისა და ფაქტების წარმოჩენა, რომლებიც აფხაზეთის ეთნო-კულტურულ ისტორიის შესახებ ახალგაზრდების დაინტერესებას, მათი ცნობიერების ამაღლებას გამოიწვევს.

ქვეპროგრამის აღწერა

- სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება, ტენდერის გამართვა და ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის გამოვლენა;
- ტრენინგ-სემინარის მოდულის შექმნა;
- მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება.

შედეგი:

ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან (შპს „საქართველოს იურისტთა უმაღლესი სკოლა“) გაფორმდა ხელშეკრულება.

ლექცია-სემინარი ჩაატარა სამ ლოკაციაზე:

- 17 ნოემბერს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის 32 სტუდენტისათვის;
- 24 ნოემბერს, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის 48 სტუდენტისათვის;
- 25 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 56 სტუდენტისათვის.

(*ლექცია-სემინარი შედგებოდა ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ლექცია თემაზე: „აფსილ-აბაზგების იდენტობის პრობლემა; ტერმინ-ტოპონიმი „აფხაზეთი“ და ეთნონიმი „აფხაზი“, როგორც „საქართველოს“ და „ქართველის“ სინონიმი; „ქვათა ღაღადი“ აფხაზეთში; რუსეთი და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები XIX-XXI საუკუნეებში“ მოწვეულმა ლექტორმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა*

პროფესორმა, კახა კვაშილავამ წაიკითხა. მეორე ნაწილში გაიმართა ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები /ინტერაქცია. ლექცია-სემინარის მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ).

ბიუჯეტი: 8700ლარი
ხარჯი: 8700
შესრულება: 100%.

სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული

სახელმწიფო დრამატული თეატრი (06 11 01)

პრიორიტეტის აღწერა:
თეატრის მიზანია ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარება, საზოგადოებისათვის აქტუალური თემების წარმოჩენა სცენაზე, მაყურებლის სულიერი განვითარებისათვის ზრუნვა. დიდი ისტორიის მქონე სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ღირსეული წარმოჩენა როგორც ქართულ, ასევე, საერთაშორისო თეატრალურ სივრცეში. თეატრის, როგორც ჩვენი ცხოვრების ანარეკლის პოპულარიზაცია. დღეს ქართულ საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება მაღალი დონის ხელოვნება, კერძოდ, მაღალმხატვრული სპექტაკლები, რომლებსაც ნახავს არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და უცხოელი მაყურებელი. სპექტაკლების გატანა საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ.

პრიორიტეტის მიზანი:
საზოგადოებისათვის აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე თემატური სპექტაკლების დადგმა, მაღალი დონის სამსახიობო შესრულება. თეატრის მიზანია როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე საზღვრებს მიღმა გასვლითი ღონისძიებების ჩატარება. ძირითადი აქცენტის გაკეთება საქართველოს იმ კუთხეებზე, სადაც კომპაქტურად იძულებით გადაადგილებულთა შედარებით დიდი დასახლებებია. ასეთი ღონისძიებები თეატრს საშუალებას მისცემს შეასრულოს თავისი უმთავრესი მოწოდება და მისია შექმნას სულიერი პროდუქტი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირთათვის;
პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატულმა თეატრმა განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- 2023 წლის იანვრიდან სოხუმის თეატრში მიმდინარეობს რეპეტიციები ახალ სპექტაკლზე, სახელწოდებით „ვთამაშობთ კაბუკის“. *(ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი: დავით პაპავა. სპექტაკლში მონაწილეობენ როგორც სოხუმის თეატრის, ასევე მოწვეული მსახიობები);*
- 6, 7 და 8 აპრილს სოხუმის თეატრში სპექტაკლის - „ვთამაშობთ კაბუკის“ პრემიერა გაიმართა;
- 2023 წლის თებერვლის თვიდან სოხუმის თეატრში მიმდინარეობდა რეპეტიციები ახალ სპექტაკლზე, სახელწოდებით „მარტორქები“ *(ეჟენ იონესკოს ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით). ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი: ზურაბ გეწაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ როგორც სოხუმის თეატრის, ასევე მოწვეული მსახიობები. პრემიერამ დიდი ანშლაგით ჩაიარა, პროექტი ხორციელდება თეატრის განვითარების ფონდთან თანამშრომლობით).*

- 24, 25, 29, 30 ივნისი - 1, 2 ივლისი - სოხუმის თეატრში სპექტაკლის - „მარტორქები“ პრემიერა გაიმართა;
- 2023 წლის 15 მაისს, აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის დარბაზში, კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა ნაწყვეტი სპექტაკლიდან „მთვარის მოტაცება“ წარადგინეს (რეჟ.: გოჩა კაპანაძე);
- 2023 წლის ივნისში სოხუმის თეატრს ეწვია ამერიკელი რეჟისორი ჯეისონ ჰეილი (Jason Hale), რომელმაც ამავე წლის აგვისტოს თვეში დაიწყო რეპეტიციები ახალ სპექტაკლზე **„უეცრად, გასულ ზაფხულს“** (ტენესი უილიამსის პიესის მიხედვით).
  სპექტაკლის პრემიერა შედგა: 2023 წლის 6 და 7 ოქტომბერს.

პროექტი დაფინანსდა ამერიკის საელჩოს მიერ Cultural Small Grants Program-ის ფარგლებში. ასევე, სპექტაკლი დააფინანსა თბილისის მერიამ.

სოხუმის თეატრის მიმდინარე საერთაშორისო პროექტები:

- 2023-24 წლების სეზონზე სოხუმის თეატრში დაგეგმილია იოზეფ როთის რომანის „Die Flucht ohne Ende“ მიხედვით სპექტაკლის დადგმა. რეჟისორი - მარტინ ვუტკე. სპექტაკლში მონაწილეობას სოხუმის თეატრის მსახიობები მიიღებენ. პროექტი ხორციელდება ბერლინში დაფუძნებულ კულტურის კომპანია RCCR Projects-თან თანამშრომლობით;
- 2023-24 წლების სეზონზე ამერიკელმა რეჟისორმა ჯეისონ ჰეილიმ (Jason Hale), სოხუმის თეატრში დადგა სპექტაკლი ტენესი უილიამსის პიესის - „უეცრად, გასულ ზაფხულს“ მიხედვით. იგეგმება სპექტაკლის გასტროლზე წაღება აშშ-ში, ტენესი უილიამსის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. ასევე, რუმინეთის სიბიუს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალსა და თურქეთის სტამბოლის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე;
  სოხუმის თეატრმა 2023 წლის მარტის თვეში განაცხადი შეიტანა სპექტაკლის სადადგმო თუ სხვა ხარჯით დაფინანსებაზე თბილისის ამერიკის საელჩოში Cultural Small Grants Program-ის ფარგლებში.
- 2023-24 წლების სეზონზე სოხუმის თეატრში იგეგმება საერთაშორისო კო-პროდუქციის შექმნა. რეჟისორი და დრამატურგი, მიკ გორდონი და რეჟისორი, დრამატურგი და საერთაშორისო პროდიუსერი, ჯასპერ პედერსენი სოხუმის თეატრში დადგამენ სპექტაკლს სახელწოდებით „ალგორითმი“. მიკმა და ჯასპერმა გადაწყვიტეს სპეციალურად სოხუმის თეატრისთვის ორიგინალური პიესის - „ალგორითმი“ - შექმნა, რომლის მსოფლიო პრემიერაც სოხუმის დრამატულ თეატრში გაიმართება. პიესა წარმოადგენს ერთგვარ კვლევას, რომელიც ეხება თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას - ადამიანის გონებაზე მანიპულაციას სახელმწიფოების, გლობალური კორპორაციების, მასმედიისა, კულტურის თუ სხვების მხრიდან. არაერთი საერთაშორისო ფესტივალი და თეატრი უკვე დაინტერესებულია აღნიშნული დადგმით, მათ შორის: Sydhavn Teater, კოპენჰაგენი; Theatre in Halle, გერმანია; ბელფასტის საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალი და სხვ. სოხუმის თეატრის მიმართ საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესება გამოიწვია კიდევ იმ ფაქტორმაც, რომ წელს თეატრს უსრულდება დევნილობაში მუშაობის 30 წელი. სოხუმის თეატრი ამ კუთხით ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე თეატრია მთელი ევროპის მასშტაბით;
- 2023 წლის 9, 10 და 11 მაისს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ორგანიზებით, მსოფლიოში ცნობილმა რეჟისორმა, მხატვარმა, სცენოგრაფმა და პედაგოგმა, დიმიტრი კრიმოვმა, ქართველი მსახიობებისათვის სამდღიანი მასტერკლასი გამართა. მასტერკლასებში, სოხუმის თეატრის

მსახიობებთან ერთად, მონაწილეობდა თბილისისა და რეგიონის 15-მდე თეატრის 40-მდე მსახიობი. მასტერკლასები მსოფლიო დრამატურგიის ორი საუკეთესო წარმომადგენლის - უილიამ შექსპირისა და ანტონ ჩეხოვის - პიესებზე მუშაობას მიეძღვნა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სამუშაო ვიზიტისას, მიმდინარე წლის 12 მაისს, სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ფართო აუდიტორიისთვის, გაიმართა დიმიტრი კრიმოვის შემოქმედებითი საღამო, რომელზეც წარმოდგენილი იყო ეპიზოდები მისი ბოლოდროინდელი გახმაურებული თეატრალური დადგმებიდან;

პროექტის მიზანი: ქართველი მსახიობებისა და ამ სფეროთი დაინტერესებული პირების ინტეგრირება თანამედროვე თეატრალურ სამყაროში, კულტურის სფეროში არსებული თანამედროვე ტენდენციების წარმოდგენა, ხელოვანებისა და სახელოვნებო ორგანიზაციების პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა;

- 2023 წლის აპრილის თვეში, სოხუმის თეატრში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი „უკრაინა + საქართველო – ერთმანეთის გვერდით“, უკრაინული ფესტივალის Bouquet Kyiv Stage ფარგლებში. ფესტივალიდან შემოსული თანხა უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლების ოჯახებს გადაეცა;
- 2023 წლის 3 და 4 ივნისს, სოხუმის თეატრის სცენაზე, თბილისის საბავშვო და ახალგაზრდული თეატრების მესამე საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, ისრაელის ბერ შევის ბავშვთა და მოზარდთა თეატრმა მოზარდებისთვის გამართა სპექტაკლი - „მთვარემდე და უკან“;

  ორგანიზატორები: საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, იუნესკოს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის საქართველოს ცენტრი, ეროვნულ სასახლესთან, სოხუმის სახელმწიფო თეატრთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით;
- 2023 წლის 22 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით, სოხუმის თეატრის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი ანა კვინიკაძე იმყოფებოდა სიბიუს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, რუმინეთში, სადაც სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი ფესტივალის ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებაზე - სიბიუს საშემსრულებლო ხელოვნების ბაზარზე / Sibiu Performing Arts Market წარადგინა. სიბიუს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშემსრულებლო ხელოვნების ფესტივალი, სიდიდით მესამე ფესტივალი ავინიონისა და ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალების შემდეგ;
- სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, 2023 წლის 29 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით, მიწვეული იყო სტამბოლის 27-ე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე /The 27thIstanbul Theatre Festival, რომელიც მსოფლიოს პრესტიჟულ ფესტივალებს შორის ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს. 2023 წლის 30 და 31 ოქტომბერს, სოხუმის თეატრმა ფესტივალზე წარადგინა სპექტაკლი - „უეცრად, გასულ ზაფხულს“ (პიესის ავტორი: ტენესი უილიამსი, რეჟისორი: ჯეისონ ჰეილი), რომლის პრემიერაც თბილისში 2023 წლის 6 ოქტომბერს გაიმართა.

  სტამბოლის ფესტივალზე, სოხუმის თეატრთან ერთად, მიწვეულნი იყვნენ მსოფლიო თეატრის გამორჩეული ხელოვანები, მათ შორის ლეგენდარული პინა ბაუშის ცეკვის თეატრი (Pina Bausch Tanztheater Wuppertal) და ჰოფეშ შეხტერის კომპანია (Hofesh Shechter Company);

  სოხუმის თეატრისთვის სტამბოლის 27-ე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობა თეატრის საერთაშორისო ცნობადობისა და პრესტიჟის გაზრდას ემსახურებოდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სოხუმის თეატრი 2023 წლის ივნისის თვეში წარმატებით წარდგა სიბიუს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე (Sibiu International Theatre Festival);

სტამბოლის 27-ე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამაში სოხუმის თეატრის სპექტაკლის „უეცრად, გასულ ზაფხულს“ ნახვა შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:
https://tiyatro.iksv.org/en/the-27th-istanbul-theater-festival-2023/suddenly-last-summer

2024 წლისათვის იგეგმება სპექტაკლის გასტროლზე წაღება აშშ-ში, ტენესი უილიამსის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე და ასევე, რუმინეთის სიბიუს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე.

ტექნიკური კუთხით განხორციელებული საქმიანობები:

- მიმდინარე წელს სოხუმის თეატრში დასრულდა განათების სისტემების ინსტალაცია და მონტაჟი, რის შედეგადაც თეატრს აქვს სრულად აღჭურვილი თანამედროვე განათების სისტემა.

ბიუჯეტი: 703 780 ლარი;
ხარჯი: 703 409,11 ლარი;
შესრულება: 99,95%;
საკუთარი შემოსავლის ოდენობა - 185 706ლარი.

სსიპ სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი (06 11 02)

სსიპ სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა 2023 წლის თეატრალური სეზონი 7 თებერვალს გახსნა. საანგარიშო პერიოდში 23 სპექტაკლი გამართა:

თებერვალი:

- „მატყუარა“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „ირმის შვილი“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

მარტი:

- „ირმის შვილი“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „ირმის შვილი“ - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- „ირმის შვილი“ - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

აპრილი:

- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „მარშალ დე ფანტიას ბრილიანტი“ - ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- „მარშალ დე ფანტიას ბრილიანტი“ - ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- „მატყუარა“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა.

მაისი:

- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „ირმის შვილი“ - ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- „ირმის შვილი“ - ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- „ირმის შვილი“ - ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- „ირმის შვილი“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

ივნისი:

- „ბრემენელი მუსიკოსები“ - აბაშის კულტურის სახლი;
- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ხობის კულტურის ცენტრი;

ივლისი

- „ირმის შვილი“ - ჭუბერის კულტურის ცენტრი;
- „ირმის შვილი“ - ბეჩოს კულტურის ცენტრი;
- „ირმის შვილი“ - მესტიის ლეო ფილფანის სახელობის კულტურის ცენტრი;
- „ირმის შვილი“ - მესტიის ლეო ფილფანის სახელობის კულტურის ცენტრი.

ოქტომბერი

- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „ირმის შვილი“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

ნოემბერი

- „მატყუარა“ - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- „მატყუარა“ - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

- „ირმის შვილი“ - ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- „ირმის შვილი“ - ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- „ირმის შვილი“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

დეკემბერი

- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „პინოქიო“ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი;
- „პინოქიო“ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი;
- „ბრემენელი მუსიკოსები“ - სსიპ სოხუმის კ.გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზი;
- „ირმის შვილი“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

წლის ბიუჯეტი: 478 527 ლარი;
ხარჯი: 478527 ლარი;
შესრულება: 100 %.

აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა

პრიორიტეტის აღწერა:

აფხაზეთის მუსიკალური ხელოვნების განვითარება; ქართული, აფხაზური და მსოფლიო საგუნდო და აკადემიური მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ; თანამედროვე ქართული და მუსიკალური შემოქმედების სტიმულირება.

პრიორიტეტის მიზანი

კაპელის მაღალმხატვრული დონის განუხრელი დაცვა; მისი შემოქმედების ცნობადობის ამაღლება ქართველ და უცხოელ მსმენელთა წინაშე წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა, ახლადშექმნილი მუსიკალური ნაწარმოებების წარმოჩენა, მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებსა და პროექტებში საქართველოსა და უცხოეთში. ნიჭიერი შემოქმედებითი

კადრების მოზიდვა-დაოსტატება, რეპერტუარის მრავალფეროვნება და განახლება, კონცერტების გამართვა.

ჩატარებული ღონისძიებები:

- 28 ივნისი - კაპელამ პროექტის - „ხელნაწერი ნოტები“ - ფარგლებში განახორციელა კომპოზიტორ თამაზ ჯორბენაძის არქივში აღმოჩენილი საგუნდო ნაწარმოების „მუხა“ აუდიო-ვიზუალური მასალის ჩაწერა;
- მეორე კვარტალში კაპელის გუნდის წევრებმა ორი ახალი მუსიკალური ნაწარმოები შეისწავლეს;
- 29 სექტემბერი - კაპელამ მონაწილეობა მიიღო გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალის დასკვნით კონცერტში და ცნობილი დირიჟორის - შალვა მოსიძის ვარსკვლავის გახსნაში;
- 23 ნოემბერი - ზვიად ბოლქვაძემ, აფხაზეთის კაპელასთან და ბენდთან ერთად, ქ. მცხეთაში შემოქმედებითი საღამო გამართა. მუსიკალურ საღამოს ადგილობრივი მოსახლეობა, ჩამოსული საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ. ღონისძიება ორგანიზებული იყო მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ინიციატივით და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით;
- 19 დეკემბერი - ქ. ბათუმის ხელოვნების მუზეუმის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს - „საუკუნის მეოთხედი“- მუსიკალური გაფორმება გ. ყურაშვილის სახ.აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ უზრუნველყო. საიუბილეო საღამო გაიმართა აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის ა.რ. სსიპ „აჭარის მუზეუმის“ დაფინანსებით.

ბიუჯეტი: 435 380 ლარი;
ხარჯი: 434 926 ლარი;
შესრულება: 99,9 %.

სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“ (06 11 03)

პრიორიტეტის აღწერა:
ქართული და აფხაზური ფოლკლორის პოპულარიზაცია; აფხაზეთის ფოლკლორული საშემსრულებლო ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება.

პრიორიტეტის მიზანი:
ანსამბლის მაღალი საშემსრულებლო დონე; ქართული და აფხაზური ფოლკლორის ნიმუშების გაცნობა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის, საქართველოსა და უცხოელი მაყურებლებისათვის; წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა; მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებსა და პროექტებში საქართველოსა და უცხოეთში. ნიჭიერი შემოქმედებითი კადრების მოზიდვა _ დაოსტატება; კონცერტების გამართვა; სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- 6 იანვარს ანსამბლი „აფხაზეთი“ TV პირველის დილის ეთერში მაყურებლის წინაშე 2 მუსიკალური და 1 ქორეოგრაფიული ნომრით წარდგა;

- ანსამბლმა იანვრის პირველ ნახევარში, რაგბის კავშირის მიწვევით, მონაწილეობა მიიღო „ახალი თეატრის“ გახსნის ღონისძიებაში;
- იანვრის თვეში ანსამბლს გასტროლები ჰქონდა საუდის არაბეთში (გამართა 21 შოუ), ხოლო დუბაიში მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო პროექტში. საუდის არაბეთის საგასტროლო ტურნეს შესაჯამებლად ანსამბლი მიწვეულ იქნა საზოგადოებრივ არხზე, სადაც მაყურებლის წინაშე ერთი საცეკვაო ნომრით წარდგა;
- 9 მარტს, პოლონეთში გასტროლების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, იმიჯისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ანსამბლი მიწვეულ იქნა იმედის არხის დილის გადაცემაში;
- 10 მარტიდან 20 მარტის ჩათვლით ანსამბლი იმყოფებოდა საგასტროლო ტურნეში პოლონეთში, 8 ქალაქში გაიმართა 9 კონცერტი. პოლონეთში წარმატებული საკონცერტო პროგრამის განხორციელების შედეგად, ანსამბლი „აფხაზეთი“ 2024 წელსაც მიიწვიეს საგასტროლო ტურნეში;
- 22 მარტს აფხაზეთის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, დირექტორი, დირიჟორი და გუნდი სტუმრად მიიწვიეს იმედის არხზე, გადაცემა შუადღეში საგასტროლო ტურნეს შესახებ. გუნდმა პირდაპირ ეთერში შეასრულა სიმღერა;
- მარტის თვეში ანსამბლმა სატელევიზიო შოუში - „ვინ ვინ არის“ შეასრულა სპეციალურად შოუსთვის დადგმული ახალი ქორეოგრაფიული კომპოზიცია.
- 22 აპრილს, თბილისი ჰილსში გამართულ ღონისძიებაზე ანსამბლი 30 წუთიანი პროგრამით წარსდგა მაყურებლების წინაშე;
- 23 მაისს, ვარდების ბაღში, აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ანსამბლი სრული შემადგენლობით წარდგა მაყურებლის წინაშე;
- 25-27 მაისს საქართველოს საელჩოს მიწვევით, ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში;
- 26 მაისს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში;
- 9-11 ივნისი - ანსამბლი, საკონსულოს მიწვევით, გასტროლებით იმყოფებოდა საბერძნეთში, ქალაქ სალონიკში (გაიმართა 2 კონცერტი, კონცერტზე მოწვეული იყვნენ სალონიკში მცხოვრები ემიგრანტები);
- 18 ივნისი - ანსამბლი სრული საკონცერტო პროგრამით წარდგა მაყურებლის წინაშე გაგრის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე;
- 28 ივნისი - ანსამბლის მომღერალთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის სახელმწიფო სავაჭრო პალატის მიერ საქართველოს პარლამენტში გამართულ ღონისძიებაში.
- 2 სექტემბერი - ქ. ზუგდიდში, ანსამბლმა მუსიკალურად გააფორმა ა(ა)იპ ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდის - პროექტი „სიცოცხლის ფესტივალი“;
- 13 სექტემბერი - ანსამბლმა მუსიკალურად გააფორმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებული ღონისძიება;
- 18-20 სექტემბერს ბათუმში, გონიოს ციხეზე ჩატარდა ხალხური სიმღერის ფესტივალი, სადაც მონაწილეობდნენ ანსამბლის მომღერლები;
- 28 სექტემბერს ჩატარდა მელიტონ კუხიანიძის სახელობის ქართული სიმღერის ფესტივალი, სადაც მონაწილეობდნენ ანსამბლის მომღერლები და დაჯილდოვდნენ დიპლომით;
- 19 სექტემბერი - ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო აჭარაში, გონიოს ციხის ტერიტორიაზე გამართულ მელიტონ კუხიანიძის სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალში;
- 1 ოქტომბერი -ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო თბილისობის ღონისძიებაში, რომელიც ჩატარდა ეთნოგრაფიულ მუზეუმში;
- 9 ოქტომბერს საჩხერეში ჩატარდა სრულიად საქართველოს ქართული საგალობლების მეშვიდე კონკურს-ფესტივალი, სადაც მომღერლებმა დაიკავეს მეორე ადგილი და დაჯილდოვდნენ დიპლომით;
- 1-10 ნოემბერი - ანსამბლს ჰქონდა წარმატებული საგასტროლო ტურნე დუბაიში;

- 12-13 ნოემბერი - ანსამბლმა გამართა 2 კონცერტი რუსთაველის თეატრში, სადაც წარმოდგენილი იყო 2 საათიანი პროგრამა „ქორეონიკონი“;
- 25-26 ნოემბერი - ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ბათუმში გამართულ სოფლის ტურიზმის ფესტივალში, სადაც წარმოადგინა 1 საათიანი პროგრამა.

ბიუჯეტი: 917 781 ლარი;
ბიუჯეტის ხარჯი: 916938.94 ლარი;
ბიუჯეტის შესრულება: 99,91 %.

ა(ა)იპ აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო
ანსამბლი „შავნაბადა“

პრიორიტეტის მიზანი:
ქართული და აფხაზური მუსიკის პოპულარიზაცია; ანსამბლის მაღალი საშემსრულებლო დონე; ქართული და აფხაზური მუსიკის გაცნობა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის, საქართველოსა და უცხოელი მაყურებლებისათვის; წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა. საკონცერტო მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, ეროვნული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშების მოსახლეობის ფართო ფენებისთვის გაცნობა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:
ქართული და აფხაზური მუსიკის პოპულარიზაცია; ანსამბლის მაღალი საშემსრულებლო დონე; ქართული და აფხაზური მუსიკის გაცნობა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის, საქართველოსა და უცხოელი მაყურებლებისათვის; წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა. საკონცერტო მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, ეროვნული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშების მოსახლეობის ფართო ფენებისთვის გაცნობა.

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საანგარიშო პერიოდში **აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „შავნაბადამ“**განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- დავით ევგენიძის საავტორო გადაცემაში („მუსიკის 12 მოციქული“) მონაწილეობა;
- 11 იანვარს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სრულად გააშუქა ანსამბლ შავნაბადასა და გორის ქალთა გუნდის კონცერტი, რომელიც კახიძის ცენტრში ფესტივალის - „შემოდგომის თბილისი“ - ფარგლებში ჩატარდა;
- საქართველოს ეროვნული პრემიისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის ლაურეატების დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ორგანიზებით ორბელიანების სასახლეში გაიმართა;
- საბავშვო კონკურს „რანინას“ ორ ტურში მონაწილეობა, (მეგა-შოუს ფორმატის კონცერტი გადაიცა საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიით, სადაც საკონცერტო დღე 2 კვირის განმავლობაში იყო გადანაწილებული);
- საზოგადოებრივი მაუწყებლის მუსიკალურ გადაცემაში („ნატალია და დათუნა“) მონაწილეობა;
- ანსამბლი „შავნაბადა“ ხალხური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე - Svetozar Stracina Grand Prix, წარდგა სიმღერით „ხასანბეგურა“, რომელსაც ასრულებდნენ გურიის სოფელ

ზემო აკეთის მცხოვრებლები და ანსამბლ შავნაბადას წევრები, ანსამბლმა მოიპოვა სპეციალური პრიზი - „ხალხური მუსიკის საუკეთესო ჩანაწერი“.

- ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ოპერაში 9 აპრილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში;
- ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში;
- 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ანსამბლმა საქართველოს ჰიმნი შეასრულა;
- ანსამბლმა „შავნაბადამ“, „რანინელებთან“ ერთად, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისადმი მიძღვნილ, პირველი არხის მიერ გადაღებულ ვიდეოკლიპში ქართული მხატვრული ფილმის - „პირველი მერცხალი“ - მოტივებზე შექმნილი სიმღერა შეასრულა;
- ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო საგარეჯოში გამართულ ღონისძიებაში -„გარეჯობა 2023“;
- დანიაში, ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაზე, ნიკო ფიროსმანის გამოფენის ფონზე, აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „შავნაბადამ“ კონცერტი გამართა;
- ანსამბლი „შავნაბადა“ მაყურებლის წინაშე წარდგა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში - „დღის კოდი“;
- 2023 წლის 9 ივლისს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ყოვლადუსამღვდელოესის, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოს სვიმეონის ლოცვა-კურთხევით, აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა - „შავნაბადა”, ქალაქ ხაშურში „ახალი ბანას“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სოლო კონცერტი გამართა;
- საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და მცხეთის მუნიციპალიტეტის თანადგომით, ანსამბლმა, სოფელ ნავაზში, კონცერტი გამართა;
- 28 სექტემბერს, ანსამბლმა - „შავნაბადა“ ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილ, აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ გამართულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა;
- 1 ოქტომბერს, ანსამბლმა თბილისობასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა;
- 19 ნოემბერს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ანასტასია ვასაძესთან ერთად ტელეგადაცემა აკუსტიკაში;
- 25 ნოემბერი - გორის ქალთა გუნდისა და ანსამბლ „შავნაბადას“ სოლო კონცერტი ქალაქ გორში.
- 4 დეკემბერს ანსამბლმა შავნაბადამ მონაწილეობა მიიღო დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ღონისძიებაში;
- ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ევროპის კანდიდატის სტატუსის მიღების აღსანიშნავ ღონისძიებაში, რომელიც პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა;
- 18 დეკემბერს ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა ორბელიანის მოედანზე თბილისის მერიის მიერ გამართულ საახალწლო კონცერტში;
- 21 დეკემბერს ანსამბლმა „შავნაბადამ“ შობის საგალობლების სასწავლო დისკის პრეზენტაცია გამართა.
- ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ტელეგადაცემა აკუსტიკაში, სადაც სხვადასხვა კუთხის ალილო შეასრულა.

ბიუჯეტი: 90 000 ლარი;
ხარჯი: 89862.48ლარი;
შესრულება: 99,85%.

სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“ (06 27)

პრიორიტეტის აღწერა:

სააგენტოს კულტურული მიმართულება მიზნად ისახავს ქართულ-აფხაზური კულტურის განვითარების ხელშეწყობას და მის პოპულარიზაციას; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ასოციაციასთან და კავშირებთან კონტაქტის დამყარებას; კულტურული ღონისძიებების, გამოფენების, პრეზენტაციებისა და შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; დევნილი ბავშვების მუსიკალური, ქორეოგრაფიული განათლების ხელშეწყობასა და საჭირო პირობების შექმნას; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის წიგნების, საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალის „რიწა“, საყმაწვილო შემეცნებით-ლიტერატურულ ჟურნალის „იალქანი“ გამოცემას.

აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეობების განვითარების ხელშეწყობა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და განვითარება; აფხაზეთიდან დევნილი მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა, ტურნირების, სხვადასხვა ახალგაზრდული და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობა; მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტების მხარდაჭერა.

სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ მიზნები და ამოცანები, მისი სამოქმედო გეგმა, შესაბამისი მიმართულების მიხედვით, ასე გამოიყურება: სააგენტოს კულტურული მიმართულება მიზნად ისახავს ქართულ-აფხაზური კულტურის განვითარების ხელშეწყობას და მის პოპულარიზაციას; კულტურული ღონისძიებების, გამოფენების, პრეზენტაციებისა და შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; დევნილი ბავშვების მუსიკალური განათლების ხელშეწყობასა და საჭირო პირობების შექმნას; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის წიგნების, საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალ „რიწის“, საყმაწვილო შემეცნებით-ლიტერატურულ ჟურნალის „იალქანი“ გამოცემას; მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტების მხარდაჭერას.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულების მიზანია აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეობების განვითარების ხელშეწყობა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და განვითარება; აფხაზეთიდან დევნილი მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა, ტურნირების, სხვადასხვა ახალგაზრდული და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობა; მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტების მხარდაჭერა.

საქმიანობის/ღონისძიების შინაარსი: (კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო)

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ 2023 წლის საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

„კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ხელშეწყობა“(06 27 01)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 582 090 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 580 787.02 ლარი, რაც გეგმის შესრულების 99.8 %-ია).

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი.

სპორტული, კულტურული და ახალგაზრდულ საქმეთა აქტივობების განსახორციელებლად სააგენტოს წარმომადგენლები მივლინებულ იქნენ რეგიონებში:

- 7-10 იანვარს ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ სტილით ჭიდაობაში. შეჯიბრში მონაწილეობდა სამი სპორტსმენი;
- 29-31 მარტს ქ. ოზურგეთში ჩატარდა საქართველოს პირველობა 17 წლამდელთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მონაწილეობდა სამი სპორტსმენი;
- 18-20 აპრილს ქ. ხაშურში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო ოთხმა სპორტსმენმა;
- 1-3 მაისს დაბა სტეფანწმინდაში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო სამმა სპორტსმენმა;
- 10-13 დეკემბერი ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, მონაწილეობას იღებდა ორი სპორტსმენი.

შედეგი: ჩემპიონატში მონაწილე ახალგაზრდებმა საპრიზო პირველი, მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს.

- ✓ სააგენტოს ბალანსზე არსებულ შენობას (დაბა წყნეთი, ზონა „გ“ II სართული), სადაც განთავსებულია სპორტული დანიშნულების საწვრთნელ-სავარჯიშო დარბაზი ჩაუტარდა 4 990 ლარი ღირებულების სარემონტო სამუშაოები;
- ✓ სააგენტოს საოფისე ფართს, (უზნაძის 68) მე-5 სართულზე არსებულ ოთახებს (32მ^2; 17მ^2) და პირველ სართულზე არსებულ დარბაზს (173მ^2) ჩაუტარდა 3 425 ლარი ღირებულების სარემონტო სამუშაოები;

აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა (06 27 02)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 210 447 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 190 394.84 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 90 .47%-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

პრიორიტეტის მიზანი:

პროგრამა გულისხმობს ისეთი პროექტების ხელშეწყობას, რომლებიც უზრუნველყოფს კულტურის ხელმისაწვდომობას, ქართულ-აფხაზური შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას, ახალგაზრდა ხელოვანების საქმიანობის პოპულარიზაციას, კულტურის ტრადიციული და ახალი დარგების (საშემსრულებლო, ვიზუალური, შემოქმედებითი მიმართულებების და სხვა...) გაძლიერებას, აფხაზური კულტურის ინტეგრირებას საერთო კულტურულ რუკაზე, მის გატანას საერთაშორისო დონეზე და ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობას. დამოუკიდებელი სახელოვნებო ორგანიზაციების, ჯგუფების, ხელოვანების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას.
დასახული მიზნების მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ტიპის პროექტების და ღონისძიებების ხელშეწყობა/განხორციელებას: ფესტივალები და კონკურსები (ადგილობრივი და საერთაშორისო), ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები, შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები, საგამომცემლო საქმიანობა, ლიტერატურული ნაშრომების თარგმანი, გამოფენები, თემატური ვორქშოფები და სხვა კულტურული ღონისძიებები.

„შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა.“ (06 27 02 01)

(გეგმა განსაზღვრულ 11 000 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 11 000 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია - ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოზარდ/ახალგაზრდების განსხვავებული, არაფორმალური მეთოდებით (ონლაინ) მუსიკისა და ხატვის სწავლების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა;

2023 წლის 1 სექტემბრიდან მიმდინარეობს ოკუპირებული გალის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდების ონლაინ ფორმატში სწავლება (ხატვაში 14 ახალგაზრდა; მუსიკაში 17 ახალგაზრდა). ხატვის გაკვეთილისთვის შეძენილი საჭირო მასალები, ინვენტარი გადაეცა გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 14 ახალგაზრდა მხატვრისთვის გადასაცემად.

მიღწეული შედეგი - ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოზარდების შემოქმედებითი უნარების განვითარება, მუსიკისა და ხატვის სწავლება. ჩატარებული მუსიკისა და ხატვის მასტერკლასები.

„კულტურული ინიციატივები“

(06 27 02 02) ქვეპროგრამა კულტურული ინიციატივები

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 76 820 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 76 819.34 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი ხელოვანების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების, საიუბილეო თარიღების, სხვადასხვა ტიპის გამოფენების, ლიტერატურული ნაშრომების თარგმანის და შემოქმედებითი საქმიანობის, როგორც ტრადიციული ისე თანამედროვე დარგებისა და მიმართულებების (ფოტოგრაფია, რეწვა, დიზაინი), ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების (აფხაზეთობა) თანადაფინანსებას/ხელშეწყობას;
საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, კერძოდ, თავისუფალი

თეატრალური პროექტების განხორციელებასა და თეატრალური ხელოვნების განვითარებას, ახალგაზრდა ხელოვანების პოტენციალის გამოვლენას; სათეატრო სივრცის შევსებას ახალი წარმოდგენებით. ხელოვნების სხვადასხვა სფეროში - თანამედროვე და კლასიკური მუსიკისა და ქორეოგრაფიის, თეატრალური, სახვითი ხელოვნების და სხვა ფესტივალებისა და კონკურსების თანადაფინანსება/ხელშეწყობას. ქვეპროგრამის მიზანი - ქართულ - აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია. მრავალფეროვანი, საინტერესო პროექტების მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- 2 800 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის ინიციატივა, კერძოდ, 2023 წლის 11 თებერვალს, ქალაქ ერევანში, აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის უფროსმა თაობამ მონაწილეობა მიიღო „ვანუშა ხანამირიანის სახელობის სომხეთის ქორეოგრაფთა მოღვაწეთა კავშირის საიუბილეო საღამოსადმი“ მიძღვნილ კონცერტში.

მიღწეული შედეგი - *ქ.ერევანში აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის უფროსი თაობის მიერ ჩატარებული კონცერტი.*

- 1499. 34 ლარით დაფინანსდა „იმედი დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის“ ინიციატივა, კერძოდ, 2023 წლის 8 მარტს, ქ. ზუგდიდში, განხორციელდა პროექტი - „ვაჩუქოთ ერთი ლამაზი დღე ქალებს“.

მიღწეული შედეგი - *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამხატვრო გალერეაში ქალთა დღესთან დაკავშირებით იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტით დაზარალებული და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისა და გოგონების ნამუშევრების გამოფენა.*

- 7 020 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ „ხელოვნება მომავლისთვის“ ინიციატივა, კერძოდ, პროექტის - „ქართული თეატრის კვირეული ინდოეთში“ - ფარგლებში 2023 წლის 11-18 მარტს ინდოეთში, ქ.აგრაში, გაიმართა თეატრალური კვირეული.

მიღწეული შედეგი - *ინდოეთში აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების (პარმენ პაპასქირი, ბიძინა სიდიანი და მარიამ აქუბარდია) ნამუშევრების გამოფენა.*

- 3 850 ლარით დაფინანსდა სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ინიციატივა, შედეგად 9 აპრილს კონსერვატორიის მცირე დარბაზში „ომში დაღუპული მებრძოლი გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ვოკალური მუსიკის საღამო“ გაიმართა;
- 4 800 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა ,,აფხაზეთი №2“-ის ინიციატივა, შედეგად 28-29 აპრილს საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის დარბაზში სკოლამ გამართა „საიუბილეო კონცერტი სიმებიან ორკესტრთან ერთად“;
- 5 000 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის ინიციატივა, შედეგად - 27 აპრილს თბილისის არტ-ჰოლის საკონცერტო დარბაზში აფხაზეთის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის უფროსი თაობის შემოქმედებითი საღამო და საპრეზენტაციო კონცერტი გაიმართა;
- 9 400 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ „პლაზმა პლატფორმის“ინიციატივა, შედეგად 21-23 მაისს ქ.თბილისში, სასტუმრო „საქართველოში“ განხორციელდა პროექტი - „საღამოს სიმღერა, რა კარგია, Check Out“;
- 1 780 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ „აფხაზეთი - ჩემი სახლის“ ინიციატივა - „ზღაპრები აფხაზეთზე“ - აუდიო სპექტაკლი აფხაზურ ენაზე. დისკის ჩაწერა განხორციელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეროსი მანჯგალაძის სახ. სტუდიაში;

- 5 500 ლარით დაფინანსდა სსიპ ქ. სოხუმის დ.არაყიშვილის სახ.სამუსიკო სასწავლებლის ინიციატივა, რომლის ფარგლებში 28 ივნისს - „კომპოზიტორ დ. არაყიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი“ გაიმართა;
- 2 860 ლარით დაფინანსდა სსიპ სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის პროექტი - „ირმის შვილი“;
- 6 180 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდის - პროექტი „სიცოცხლის ფესტივალი“ (განხორციელდა 2 სექტემბერს);
- დაფინანსდა შპს ვეგა პლიუსის პროექტი - „ქართული გასტრონომიული კულტურის წარდგენა მსოფლიოში, აფხაზეთი, როგორც გასტრონომიის მარგალიტი“;
- 3 639 ლარით დაფინანსდა შპს „ვეგას“ პროექტი - პავლუშა (პავლე) კეკუას საიუბილეო პერსონალური გამოფენა, (გამოფენა განხორციელდა 2023 წლის 26,27,30 ოქტომბერს, ქ.თბილისი უზნაძის 68, ვალერი არქანიას სახელობის საგამოფენო დარბაზში);
- 6 700 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის პროექტი - „სიზმარ-ცხადი აფხაზეთი“- ჯანო ჯანელიძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც გაიმართა 2023 წლის 22 ოქტომბერს, სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დარბაზში;
- 6 500 ლარით დაფინანსდა აფხაზეთის კულტურის მოღვაწეთა კავშირი მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის პროექტი - „ცნობილი ქართველი პოეტის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსებისა და ბიოგრაფიის ეკრანიზაცია“, პრეზენტაცია გაიმართა ქ.თბილისი უზნაძის 68, ვალერი არქანიას სახელობის საგამოფენო დარბაზში;
- 3 291 ლარით დაფინანსდა შპს „იდეალ გლობალის“ პროექტი - „საშობაო საგალობლების ჩაწერა“, რომლის პრეზენტაცია 21 დეკემბერს, ქ.თბილისში, კავკასიის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა;

მიღწეული შედეგი - *აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების გამოფენა; ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდა გოგონების ნამუშევრების გამოფენა; ჩატარებული კონცერტები, მუსიკალური საღამო; აუდიო სპექტაკლის ჩაწერა დისკზე.*

ქვეპროგრამა ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობა (06 27 02 04)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 6 000 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 5 965 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 99. 4 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენა და შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირების მაქსიმალური ჩართულობა კულტურულ პროცესებში.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- 3 000 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ინიციატივა, რომლის ფარგლებში (ხელოვნება ყველასთვის - „ვერის უბნის მელოდიები“) 15 ივნისს, თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის დარბაზში, შშმ ბავშვების, მშობლებისა და პედაგოგების მონაწილეობით გაიმართა სპექტაკლის პრემიერა;

- 3 000 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ „დობადონას“ პროექტი - „სოციალური მატარებელი“, პროექტის მიზანი იყო დევნილი, შშმ ბავშვებისათვის (მონაწილეობდა 10 მოზარდი) უსაფრთხო გარემოში დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაზრდისთვის, ფუნქციური და სოციალური უნარების ბუნებრივ გარემოში დასწავლა. პროექტი დასრულდა 2023 წლის 1 ოქტომბერს, სადაც ბავშვებმა პედაგოგებთან ერთად წარმოადგინეს სპექტაკლი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“.

მიღწეული შედეგი *- დადგმული და განხორციელებული სპექტაკლის პრემიერა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მაქსიმალური ჩართულობით განხორციელებული ღონისძიება.*

ქვეპროგრამა საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (06 27 02 05)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 31 697 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 31 697 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 100%-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქართველი მწერლების მხარდასაჭერად და ახალი სახეების აღმოჩენის მიზნით, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს პოპულარიზაციისა და აფხაზეთის თემაზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტური კრებულების, საისტორიო-სამეცნიერო ნაშრომების, კატალოგების, ხელოვნების სფეროს (მხატვრობა, ქორეოგრაფია, თეატრი...) წარმომადგენლებზე მომზადებული მხატვრული თუ დოკუმენტური წიგნების გამოცემის ხელშეწყობას. დასაბეჭდი მასალა უნდა იყოს გამოუქვეყნებელი, კონცეფცია - აქტუალური, ხარისხი - მაღალი მხატვრული ღირებულებების მატარებელი, რომელიც ეხმიანება თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბეჭდვითი ღონისძიებები (არაუმეტეს 300 ეგზემპლარისა); საგამომცემლო საქმიანობის ფარგლებში ფინანსდება, როგორც ინიციატივებით შემოსული განაცხადები, რომელსაც განიხილავს სპეციალური კომისია, ასევე, სააგენტოს მიერ ინიციირებული პროექტები, სადაც იბეჭდება პერიოდული ჟურნალები „რიწა“, „იალქანი“ და სააგენტოს რედაქციის მიერ მომზადებული წიგნები. თემატიკა უნდა პასუხობდეს სააგენტოს დებულების მოთხოვნებს, ასახავდეს აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებს და მოვლენებს. „იალქნისა“ და „რიწის“ რედაქციის მიერ წარმოდგენილი პროექტები მოიცავს მთარგმნელობით მომსახურებასაც. პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტოს მიერ გამოცემული ჟურნალებისა და წიგნების ნაწილი გავრცელდება ფართო საზოგადოებაში, დარიგდება სხვადასხვა ღონისძიებაზე, პრეზენტაციებზე, ხოლო ნაწილის რეალიზება მოხდება საკუთარი შემოსავლის მიღების მიზნით. ქვეპროგრამა არ ითვალისწინებს ინიციატივების ფარგლებში შემოსულ ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, იურიდიული ლიტერატურის, ასევე - პერიოდული გამოცემების: ჟურნალი, ალმანახი, გაზეთი, ბუკლეტი - დაფინანსებას.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ მიერ 2023 წლის 10 მარტს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სააგენტოს პერიოდული ჟურნალების, სააგენტოს მიერ ინიციირებული და ინიციატივებით შემოსული მოთხოვნების საფუძველზე გამოსაცემ წიგნებზე:

- სააგენტოს პერიოდული საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალი „რიწა“ -გამოცემა N1,N2,N3;
- სააგენტოს პერიოდული შემეცნებითი ლიტერატურული ჟურნალი „იალქანი“ ყმაწვილთათვის - გამოცემა N1,N2;
- ჟურნალ „იალქანის“ მიერ ინიციირებული აფხაზური საბავშვო ლიტერატურის ანთოლოგია „ნუშა და ანიშა“;
- გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი „თეა თოფურიას წიგნი - იაკობის ჭასთან“;
- პავლუშა კეკუას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ფერწერულ ნამუშევართა კატალოგი;
- გამოიცა შემეცნებითი ლიტერატურული ჟურნალი „იალქანი“ ყმაწვილთათვის - N1(300 ეგზემპლარი; ღირებულება - 1833 ლარი);
- გამოიცა პავლუშა კეკუას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ფერწერულ ნამუშევართა კატალოგი(200 ეგზემპლარი; ღირებულება- 1280 ლარი);
- გამოიცა „თეა თოფურიას წიგნი - იაკობის ჭასთან“(„ინტელექტის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი , 300 ეგზემპლარი; ღირებულება- 2301 ლარი);
- გაწეულ იქნა სათარჯიმნო მომსახურება ჟურნალ „იალქანის“ მიერ ინიციირებული აფხაზური საბავშვო ლიტერატურის ანთოლოგიისთვის „ნუშა და ანიშა“(ღირებულება - 1 250 ლარი);
- გამოიცა პერიოდული საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალი „რიწა“ N1,N2 (300-300 ეგზემპლარი; ღირებულება - 2 898 ლარი);
- გამოიცა საბავშვო წიგნი „ნუშა და ანიშა“;
- სააგენტოს მიერ, ინიციატივებით შემოსული მოთხოვნების საფუძველზე გამოსაცემ წიგნებზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა (18 545 ლარი);
- გამოიცა ნატო კორსანტიას წიგნი - „ვინ გაყო ასე, გაღმა-გამოღმად“;
- გამოიცა იგორ კეკელიას წიგნი - „სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია“;
- გამოიცა მზია აკობიას საბავშვო ლექსების კრებული - „ხუმარა საათი“;
- გამოიცა შემეცნებითი ლიტერატურული ჟურნალი „იალქანი“ (# 2);
- გამოიცა პერიოდული, საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალი ჟურნალი „რიწა“(#3);
- გამოიცა დაჩი ახვლედიანის წიგნი - „ნავსადგური სახელად სოხუმი“;
- გამოიცა დავით მარკოზიას საიუბილეო მხატვრული კატალოგი;
- გამოიცა მაკა სეფაშვილის წიგნი - „გზა არსაით“;
- გამოიცა აზა ბასლანძის საბავშვო ლექსების კრებული - „ ლეკვი და პონი“.

მიღწეული შედეგები *- აფხაზეთიდან დევნილი ავტორების /აფხაზეთის თემატიკაზე გამოსაცემი წიგნებისა და პერიოდული ჟურნალების ბეჭდვა.*

ქვეპროგრამა „სიყვარულით, თქვენთვის“ (06 27 02 08)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 21 000 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 20 994.45 ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთობის დღესასწაულის აღნიშვნას, სააგენტოს მიერ გამოცემული ჟურნალებისა და წიგნების პრეზენტაციას, რეგიონებში მცხოვრები დევნილი ბავშვების მიწვევას თოჯინების თეატრში, მუზეუმის ტურებში და სხვა შემეცნებითი აქტივობების ჩატარებას. შშმ ბავშვების მონაწილეობით ღონისძიების ჩატარებას, სხვა კულტურული აქტივობების ჩატარებას, მოზარდებისთვის სიმბოლური საჩუქრების გადაცემას; ქვეპროგრამის მიზანია თბილისსა და რეგიონში მცხოვრები დევნილი ბავშვების გახალისება, აფხაზეთის დღის სახალხო ზეიმად ქცევა, რომლის ფარგლებშიც საზოგადოება უფრო მეტად გაიცნობს ქართულ-აფხაზური კულტურის საერთო ნიშან-თვისებებსა და ტრადიციებს.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პროექტის „სიყვარულით თქვენთვის“ ფარგლებში, აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს გოგონათა ფოლკლორულმა ანსამბლმა - „გუმბათმა“, დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდებთან ერთად წარმოადგინა მუსიკალური კოლაბორაცია. წინასწარ შეირჩა კლიპის გადასაღები ლოკაცია, 14 მარტს ანსამბლის წევრებთან ერთად საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გადაიღეს ვიდეო-რგოლი; კლიპის პრეზენტაცია 21 მარტს რუსთავი 2-ის გადაცემა „შუადღის“ პირდაპირ ეთერში შედგა, სტუდიაში მიწვეული იყვნენ კლიპში მონაწილე ახალგაზრდები, 23 მარტს, დაუნის სინდრომის მსოფლიო კვირეულის ფარგლებში, შშმ პირები სელფის მუზეუმს ეწვივნენ;
- 3-4 მაისი - ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში ჟურნალ „იალქანის“ მკითხველთან შეხვედრა გაიმართა, ოტია იოსელიანის სახელობის პირველ საჯარო სკოლაში სააგენტოს მიერ გამოცემული საბავშვო წიგნის - „საკოკროჭინოს“ მიხედვით დადგმული მინი სპექტაკლის ჩვენება შედგა;
- 15 მაისი - დედოფლისწყაროში ჟურნალ „რიწის“ N1 ნომრის პრეზენტაცია გაიმართა;
- 21 მაისი - აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა, დ.ჯაიანის სახელობის დარბაზში, გაიმართა კონცერტი, ვ.არქანიას სახელობის არტ გალერეამ გამოფენას - „ადამიანები აფხაზეთიდან“ - უმასპინძლა, მომზადდა ფოტოკოლაჟი, რომელიც განთავსდა თბილისში, ზუგდიდსა და ბათუმში დამონტაჟებულ სარეკლამო ეკრანებზე;
- 30 მაისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ვ.არქანიას სახელობის არტ გალერეაში საბავშვო წიგნის „ხატულა ლექსების“ პრეზენტაცია გაიმართა;
- 16 ივნისი - მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხანში მცხოვრები, სააგენტოს პროექტებში მონაწილე ბავშვებისათვის, ჟურნალ „იალქანის“ ნორჩი ავტორებისთვის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შემეცნებითი ტური გაიმართა;
- თბილისის 147-ე, 133-ე, 140-ე, მე-8 საჯარო სკოლებში, ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში, გარდაბნის პირველ საჯარო სკოლაში, წყალტუბოსა და ხონის რეგიონების სხვადასხვა სკოლაში, რუსთავის მე-5 საჯარო სკოლაში სალექციო კურსი „ამბები აფხაზეთიდან“ და შემაჯამებელი ვიქტორინა ჩატარდა;
- 10 ივლისი - მწერალთა სახლში გაიმართა ჟურნალ „იალქანის“ 2023 წლის N1 ნომრის პრეზენტაცია. ღონისძიებას ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა;
- 13 სექტემბერი - ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში ქართული სამოსის გამოფენა და გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლ „გუმბათის“ კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ნიუ-ჯერსის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრის ორგანიზებით გადაღებული კლიპის - „აფხაზეთი საქართველოა“ - ჩვენება გაიმართა;
- 26 სექტემბერი - ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში ჟურნალ „რიწის“ N2 ნომრის პრეზენტაცია გაიმართა.
- 1 ივლისი - ანსამბლმა „გუმბათმა“, დმანისში, პანტიანის ტბაზე. მონაწილეობა მიიღო ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „არტ-

გენის“ (საიუბილეო - 20 წელი) საზეიმო გახსნის ღონისძიებაზე;

- 17 ივლისი - კულტურის ცენტრ „მუზაში“, ანსამბლი „გუმბათი“ განახლებული, საკონცერტო სოლო პროგრამით წარსდგა მსმენელის წინაშე;
- 22 ივლისი - ანსამბლმა „გუმბათმა“, ტრადიციულად ფესტივალ არტ-გენის თბილისის ტურზე მიიღო მონაწილეობა, სადაც მსმენელის წინაშე ორი კონცერტით წარსდგა;
- 25 აგვისტო - ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო სოფელ წერაქვში, საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში - „ერთიანი კავკასია“/„ONE CAUCASUS. უცხოელმა მენტორებმა, ანსამბლის წევრებისთვის პროფესიონალური მასტერკლასები ჩაატარეს;
- 25 სექტემბერი - აფხაზურ სიმღერაზე - „აზამატი“- განხორციელდა ვიდეორგოლის გადაღება;
- 26 ოქტომბერს ქართულ-ამერიკულ სკოლაში, ხოლო 31 ოქტომბერს თბილისის 116-ე საჯარო სკოლაში გაიმართა ლექცია თემაზე - „ამბები აფხაზეთიდან“;
- 2023 წლის 6 დეკემბერს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში გაიმართა წიგნის - „ნუშა და ანიშა“ - პრეზენტაცია.

მიღწეული შედეგები _ *ვიდეო-რგოლის გადაღება ანსამბლ „გუმბათისა“ და შშმ ბავშვების მონაწილეობით, კლიპის პრეზენტაცია ტელევიზია რუსთავი-2-ში. შშმ ბავშვების მიწვევა სელფის მუზეუმში, ჟურნალების („რიწა“, „იალქანი“) პრეზენტაციები; „აფხაზეთის დღეების“ აღნიშვნა, ფოლკლორულ ანსამბლ „გუმბათის“ კონცერტები.*

ქვეპროგრამა „ფერწერა აფხაზეთიდან“ (06 27 02 09)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 11 430 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 11 429.35 ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ღონისძიება ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების და პროფესიონალი მხატვრების ნამუშევრების გამოფენებს; ასევე მოხდება სხვადასხვა ფერწერული ტილოების შესყიდვა და ღვაწლმოსილი ქალბატონების დაჯილდოება ქალთა საერთაშორისო დღესთან (8 მარტი) დაკავშირებით; აფხაზეთის თემაზე დევნილ ბავშვებს ჩაუტარდებათ პროფესიონალი მხატვრების მასტერკლასები, ამ ბავშვების ნამუშევრები დაიბეჭდება სამაგიდო კალენდარზე, რომლის ნაწილი გავრცელდება საზოგადოებაში და ღონისძიების ფარგლებში, ხოლო ნაწილის რეალიზება მოხდება საკუთარი შემოსავლის მიღების მიზნით. მოეწყობა შეხვედრა ხელოვან ადამიანებთან. ქვეპროგრამის მიზანია - ფერწერის პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- ქალთა დღესთან დაკავშირებით, ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში,სააგენტოს მიერ შეირჩა აფხაზეთში ომამდე და ომის შემდგომ საკუთარი საქმიანობით გამორჩეული, თორმეტი დევნილი, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი ქალბატონი (მათი მრავალწლიანი წარმატებული და ნაყოფიერი საქმიანობისთვის) ამავდროულად, აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების მხარდაჭერის და მათი პოპულარიზაციის მიზნით, მათგან შეძენილ იქნა ფერწერული ნამუშევრები, რომელიც საჩუქრად გადაეცათ ქალბატონებს;

- 7 მარტს სააგენტოს ინიციატივით, ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში, გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „ფერების ზღვა“. გალერეაში წარმოდგენილი იყო აფხაზეთიდან დევნილი, ახალგაზრდა ქალბატონების: ესმა არღვლიანის, მარიამ აქუბარდიას, თამარ გითოლენდიას, ქეთევან ეფაძის, ნინო ჭედიას, ფლორა ჩხოტუას, თეკლა ჯუღელის და ნანა ესიავას პერსონალური ნამუშევრები;
- 4 ივნისს, პეტრას ციხეზე, აჭარის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სამხატვრო მასტერკლასები გაიმართა. მასტერკლასში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფერიაში მცხოვრები, ეთნიკურად აფხაზი ნორჩი მხატვრები იღებდნენ მონაწილეობას. მოზარდებმა მხატვარ ირინე ტორონჯაძესთან ერთად ფერწერული ნამუშევრები შეასრულეს, რომელიც ტრადიციულად 2024 წლის სამაგიდო კალენდარში დაიბეჭდება;
- ვალერი არქანიას სახელობის არტგალერეაში გაიმართა აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების - დავით მარკოზიას და პავლუშა კეკუას გამოფენა.

მიღწეული შედეგები - ფერწერის პოპულარიზაცია. ღვაწლმოსილი ქალბატონების დაფასება, გამოფენების ჩატარება;

ქვეპროგრამა „შემოქმედებითი ზაფხული“ (06 27 02 10)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 9 989.90 ლარით, რაც გეგმის შესრულების 99.9 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზაფხულის არდადეგებზე კონკურსის გამოცხადებას, რომელიც ხორციელდება ოთხ ეტაპად და მიზნად ისახავს აფხაზეთის თემაზე მხატვრული ნაწარმოების შექმნას. საუკეთესო ნაშრომის შერჩევის შედეგად, კონკურსში მონაწილე ახალგაზრდებს არაფორმალურ გარემოში უტარდებათ მასტერკლასები, შედეგად ვლინდება გამარჯვებული. პროექტის მიზანია ახალგაზრდებისთვის შემოქმედებითი გემოვნების ამაღლება, აფხაზეთის გახსენება.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

კონკურსი სამ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე გამოცხადდა კონკური, სადაც მონაწილეობა მიღეს 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდებმა. მათ გადმოაგზავნეს საკუთარი ლიტერატურული ნამუშევარი აფხაზეთის თემაზე. საკონკურსო განაცხადებიდან კონფიდენციალურმა ჟიურიმ 10 კონკურსანტი შეარჩია. მეორე ეტაპზე ლიტერატურული კონკურსის ფინალისტებმა იმპროვიზაციულ ტურში გადაინაცვლეს, სადაც ლიდერთა ჯგუფთან ერთად ორი დღე არაფორმალურ გარემოში გაატარეს, მათ წინასწარ განსაზღვრულ დროში, მიიღეს კონკრეტული დავალება - შეექმნათ ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელიც წიგნად გამოიცა. ასევე, ჩაუტარდათ ტრენინგები, მასტერკლასები და სპეციალური საგანმანათლებლო სემინარი.

დასკვნით ეტაპზე, ჟიურის მიერ, გამოვლინდა სამი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი, რომელთაც სპეციალური პრიზები გადაეცათ. ილიას სახელობის მუზეუმში მოხდა წიგნის პრეზენტაცია, ათივე ფინალისტი დაჯილდოვდა სიგელებით (ჩარჩოთი), ხოლო სამი გამარჯვებული - სასაჩუქრე ბარათით (ვაუჩერით) .

მიღწეული შედეგები - გამარჯვებული ფინალისტები:

- ✓ ნინო დილსიზ;
- ✓ ელენა გიორგაძე;
- ✓ ლიზი აფხაზავა.

ფინალისტების ნამუშევრები კრებულის სახით გამოიცა.

ქვეპროგრამა „მე აფხაზეთისთვის“ (06 27 02 06)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 7 500 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 7 500 ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ყოველწლიურად სააგენტო ახორციელებს ათი საუკეთესო, საინტერესო ისტორიის მქონე აფხაზეთიდან დევნილი პირის პოპულარიზაციას და მათთან შეხვედრის ღონისძიებას.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

2023 წლის 16 დეკემბერს „თბილისი მარიოტში“ აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსა და ჟურნალ „სითის“ ერთობლივი პროექტის „მე აფხაზეთისთვის“ მონაწილეთა დაჯილდოება გაიმართა. კონკურსის შედეგად შეირჩა საუკეთესო და საინტერესო ისტორიის მქონე ათი გმირი, რომლებზეც მომზადდა სპეციალური ფოტოპროექტი, დაიწერა მცირე ისტორიები და გამოქვეყნდა ჟურნალში - „სითი“. კონკურსის ნომინანტებს სპეციალური პრიზები გადაეცათ.

მიღწეული შედეგი - პროექტის მეშვეობით საზოგადოებამ გაიცნო სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 10 წარმატებული ადამიანი აფხაზეთიდან. მასალა განთავსდა გამომცემლობის ონლაინ პლატფორმასა და სააგენტოს ვებ გვერდზე.

ქვეპროგრამა „საახალწლო ზეიმი“ (06 27 02 07)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 15 000 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 14 999.80 ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

დევნილი ბავშვებისა და მოზარდებისთვის საახალწლო განწყობისა და მხიარული ატმოსფეროს შექმნის მიზნით ხორციელდება საახალწლო სპექტაკლები. წარმოდგენის დასრულების შემდგომ, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო ბავშვებს საახალწლო საჩუქრებს გადასცემს.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- ქ. თბილისში, ნ.დუმბაძის მოზარდ-მაყურებელთა თეატრში, სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის სახელმწიფო მოზარდ-მაყურებელთა თეატრმა, დევნილი ბავშვებისთვის, გამართა სპექტაკლი - „ირმის შვილი“;
- ქ. ზუგდიდში, შალვა დადიანის დრამატულ თეატრში ნაჩვენები იქნა სპექტაკლი „აბუ და ბე“.

სპექტაკლის დასასრულს ბავშვებს გადაეცათ საახალწლო სასაჩუქრე ნაკრებები.

„ევროპული არდადეგები“

(06 27 03 04)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 20 990 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 20960.50 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 99.9 %-ია).

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების ინფორმირება სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე, სპიკერებისგან მიიღონ უახლესი ინფორმაცია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე, მეტი გაიგონ აღნიშნული პროცესის შედეგად მიღებულ სარგებელზე და ჩაერთონ დისკუსიაში ისეთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა, ქართული კულტურისა და იდენტობის ევროპული ოჯახის კუთვნილება.

პროექტი, ასევე მიზნად ისახავს საქართველოში შიდა ტურიზმის პოპულარიზაციას და ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ქვეყნის ტურისტული პოტენციალისა და სხვადასხვა რეგიონის/მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- მეორე კვარტალში, 150 ახალგაზრდისთვის შესყიდულ იქნა საჭირო ეკიპირება;
- პროექტი („ევროპული არდადეგები“) განხორციელდა 2023 წლის 22-26 ივლისს რაჭაში, შაორის ბანაკში, სადაც ხუთი დღის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 100 ახალგაზრდამ. ახალგაზრდებს მიაწოდეს უახლოესი ინფორმაცია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე, რომელსაც უზრუნველყოფა გაუწია „საინფორმაციო ცენტრმა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“. ასევე იმართებოდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობები;
- 2023 წლის 22 სექტემბერს თბილისში განხორციელდა ქვეპროგრამის - „ევროპული არდადეგები“ - დასკვნითი ეტაპი, სადაც მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 50 ახალგაზრდამ. ახალგაზრდებმა, დაათვალიერეს ძველი თბილისის ღირსშესანიშნაობები და ასევე მიიღეს უახლოესი ინფორმაცია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე.

მიღწეული შედეგი - პროექტისთვის განკუთვნილი შეძენილი ეკიპირება, ინფორმირებული ახალგაზრდები. პროექტის ინტეგრირება, როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ-შემეცნებითი კომპონენტებით.

„სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრება“

(06 27 03 05)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 9 684 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 9 653. 67 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 99.7 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

პროექტის მიზანია მოზარდებში ინტელექტუალური, გუნდური, შემეცნებითი და თავდაცვითი უნარების ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მნიშვნელოვანია მოზარდებმა თავად შეიტანონ გარკვეული წვლილი ტერიტორიების დასუფთავების, გამწვანების, ეკოლოგიურად უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაში.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- 5 ივნისი - მსოფლიო გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით, ქ.ფოთში, ჩატარდა ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კომპაქტურ ჩასახლებაში მცხოვრებმა 80-მდე აფხაზეთიდან დევნილმა ახალგაზრდამ. მონაწილეობდა 8 გუნდი. ტურნირის ბოლოს მოხდა მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და ნერგების დარგვა;
- 15 ივლისი - ქ. ქუთაისის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების კომპაქტურ ჩასახლებაში მცხოვრებმა 50-მდე აფხაზეთიდან დევნილმა ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სახის საინტერესო აქტივობებს: სათავგადასავლო, შემეცნებით, კულტურულ, პილიგრიმულ და სასწავლო, ასევე მოხდა მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება. აღნიშნული პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებში ისეთი უნარების განვითარებისთვის ხელშეწყობა, როგორიცაა - გუნდურობა, ლიდერობა, გარემოს დაცვა, მხარეთმცოდნეობა, თვითგადარჩენა, ეკოლოგია.

მიღწეული შედეგი - ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა.

„სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობა“ (06 27 03)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 286 343 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 285 944.84 ლარით, რაც გეგმის შესრულების 99.9 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

პრიორიტეტის მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების ხელშეწყობას, სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების/გუნდების ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებზე, ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მისაღებად ხელშეწყობას, ახალგაზრდული საქმეების ჩატარება/ხელშეწყობას.
პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად: ტურნირების, სხვადასხვა ახალგაზრდული შეჯიბრებებისა და სპორტული და შემეცნებითი სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობას. ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით პროგრამა ინტეგრირებულია როგორც საგანმანათლებლო, ასევე შემეცნებითი კომპონენტებით. ითვალისწინებს ახალგაზრდების ინფორმირებას სხვა პრიორიტეტულ საკითხებზე, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას აღნიშნულ პროცესებში.

პროგრამის მიზანია სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობა. სპორტისა და ახალგაზრდული საქმეების მდგრადობის უზრუნველყოფა და მეტი ღონისძიების თანადაფინანსება/განხორციელება. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული/გამართული სხვადასხვა სპორტული, შემეცნებითი ღონისძიებები; ხელშეწყობილი ტურნირები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სპორტის პოპულარიზაცია და მოტივაციის ამაღლება. ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა პრიორიტეტულ პროცესებში.

„ქვეპროგრამა სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“ (06 27 03 01)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 74 700 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 74 618.68 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 99.9 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობას; სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების/გუნდების მიერ ინიციირებული ღონისძიებების ხელშეწყობას ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებზე, ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის ხელშეწყობას. ამასთანავე, ტურნირების, ჩემპიონატების, სხვადასხვა ახალგაზრდული შეჯიბრებების, სპორტული და შემეცნებითი სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობას. ქვეპროგრამის მიზანია სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა პოპულარიზაცია და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა შემეცნებით და პრიორიტეტულ პროცესებში.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- 2 980 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი სოხუმის კოლხა - საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ U18 „ა“ და U20 ლიგაში მონაწილეობისათვის;
- 3 166 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის ა/რ ჩოგბურთის ფედერაციის პროექტი - „აფხაზეთის ახალგაზრდული პირველობა მაგიდის ჩოგბურთში“. (ტურნირი ჩატარდა 25-26 მარტს, მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა სპორტსმენმა);
- 7 935 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(აიპ) აფხაზეთის საცხენოსნო ხალხური თამაშობებისა და საცხენოსნო სპორტის პროექტი - „საცხენოსნო შეჯიბრი აფხაზეთის პირველობაზე წინააღმდეგობათა გადალახვაში“. შეჯიბრი ჩატარდა 19 მარტს ნატახტრის საცხენოსნო კლუბ მენეში, მონაწილეობა მიიღო ექვსმა საცხენოსნო კლუბმა და ოცმა სპორტსმენმა, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილმა სპორტსმენმა;
- 2 650 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი ფენიქსი (მონაწილეობს მოყვარულთა ლიგაში, ითხოვდა ფორმების შეძენას, ღონისძიება გაიმართა პირველ კვარტალში, თანხის გადარიცხვა განხორციელდა მეორე კვარტალში);
- 3 420 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი აფხაზეთი 2020“-ის განაცხადი სპორტული ინვენტარის შეძენის თაობაზე. კლუბი მონაწილეობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ რუენირში „მოყვარულთა ლიგა“, რომელიც მთელი ქვეყნის მას შტაბით იმართება;
- 3 793 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა სსიპ აფხაზეთის N2 საჯარო სკოლის განაცხადი, (პროექტი - „სპორტი გვაერთიანებს“ - სპორტის სხვადასხვა სახეობებში მონაწილეობას მიიღებენ სკოლის მოსწავლეები, აღნიშნული პროექტი გაგრძელდება სამი დღე, 11-13 აპრილი, (ღონისძიება გაიმართა პირველ კვარტალში, თანხის გადარიცხვა განხორციელდა მეორე კვარტალში);
- 3 080 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბ სოხუმი შტორმის განაცხადი, კლუბი მონაწილეობას იღებს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ „ბ“ ლიგის ჩემპიონატში. (ღონისძიება გაიმართა პირველ კვარტალში, თანხის გადარიცხვა განხორციელდა მეორე კვარტალში);
- 12 000 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის რაგბის ფედერაციის განაცხადი, ფესტივალი გაიმართა 5-7 მაისს ასპინძის რაგბის ბაზაზე, სადაც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულმა ჭაბუკთა გუნდმა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან რაგბის გუნდებმა;
- 960 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაცია (პროექტი - „საერთაშორისო ღია ტურნირი ფარიკაობაში - აფხაზეთის თასი“) ღონისძიება გაიმართა 5-7 მაისს, მონაწილეობდნენ აფხაზეთის სახელით მოასპარეზე მოფარიკავე მოზარდები;
- 8 010 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის ძიუდოს აკადემიის პროექტი - „გენო ადამიას ხსოვნისადმი მიძღვნილი გუნდური ტურნირი ძიუდოში“, ტურნირი ჩატარდა 27 სექტემბერს, მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის გუნდები;
- 1609.68 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ საქართველოს ფიტნესის, ბოდიბილდინგის და ფიტნეს ჩელენჯის ეროვნული ფედერაციის პროექტი „მსოფლიო ჩემპიონატი ბოდიბილდინგსა და ფიტნესში“. ჩემპიონატი ჩატარდა ესპანეთის ქალაქ სანტა სუსანაში, მონაწილეობდა 204 ქვეყნის წარმომადგენელი, მათ შორის საქართველოდან;
- 5 000 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ ფედერაცია ქართული ჩოგბურთის პროექტი - „აფხაზეთის თასის გათამაშების საჩოგბურთო ტურნირი - აფხაზეთის თასი 2023“. ტურნირი ჩატარდა ქ.თბილისში, ალექსანდრე მეტრეველის სახელობის საჩოგბურთო კორტზე, სადაც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთიდან დევნილმა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა 60-მდე სპორტსმენმა, თასის გათამაშება ჩატარდა ქალთა და მამაკაცთა ერთეულთა თანრიგში;

- 7 980 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ ს.კ. სოხუმი ჯორჯია 2023-ის პროექტი - „კლუბისთვის ეკიპირების დაფინანსება“. (ს.კ. სოხუმი ჯორჯია 2023, შემენილი სპორტული ეკიპირებით მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კალათბურთის ჩემპიონატის „ა“ ლიგაში და საერთაშორისო ტურნირებზე;
- 3 270 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის ა/რ მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პროექტი - „მაგიდის ჩოგბურთში ს.სარხაიანის მემორიალურ ტურნირში მონაწილეობის მიღება“. ტურნირი ჩატარდა ქ.ბათუმში, 24-26 ნოემბერს, ორ ასაკობრივ კატეგორიაში 15 წლამდე გოგონებსა და ვაჟ სპორტსმენებს შორის. ტურნირში, აფხაზეთის სახელით, მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ა/რ მაგიდის ჩოგბურთის ნაკრების წევრებმა;
- 3 000 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ ს.კ სოხუმი კოლხას პროექტი - „გუნდისთვის საკალათბურთო ფორმის შეძენა“. კლუბი შეძენილი ფორმით მონაწილეობს საქართველოს კალათბურთის U18 და U22 ლიგაში;
- 5 795 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ ს.კ. სოხუმი ჯორჯია 2023-ის პროექტი - საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში - „სოხუმის თასი“. ტურნირი ჩატარდა ქ.თბილისში 5-8 დეკემბერს, მონაწილეობა მიიღო 6 გუნდმა - საქართველოს კლუბებმა, საერთაშორისო მოწვეულმა კალათბურთის გუნდმა სომხეთიდან „ერევან ფოქსის“, ასევე, ს.კ.სოხუმი ჯორჯია 2023-მა, სადაც თამაშობდნენ აფხაზეთიდან დევნილი კალათბურთელები.

მიღწეული შედეგები *- სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია და განვითარება, აფხაზეთის ახალგაზრდა თაობის ჩაბმა სპორტის სხვადასხვა სპორტულ სახეობაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ჩატარებული, მხარდაჭერილი ტურნირები და სპორტული ღონისძიებები.*

აფხაზეთის სპორტული ტურნირები

(06 27 03 02)

გეგმა განსაზღვრულ იქნა 10 000 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 9 934.08 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 99.3 %-ია.

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ტურნირების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც აფხაზეთიდან დევნილი, ასევე საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები/მოზარდები. ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას, სპორტსმენების მოტივაციას, სტრუქტურებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, ორგანიზაცია ახორციელებს ტურნირებს მინი-ფეხბურთსა (უწყებათაშორისი) და თავისუფალ ჭიდაობაში.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- აფხაზეთის ა/რ მთავრობის უწყებათა შორის ტურნირი მინი-ფეხბურთში, განხორციელდა 2023 წლის 11-13 ოქტომბერს, ქ.თბილისში სპორტული ცენტრი იმედის სტადიონზე, რომელიც მიზნად ისახავდა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და ერთმანეთთან კომუნიკაციის გაღრმავებას. ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები დაჯილდოვდნენ შესაბამისი

ხარისხის დიპლომებით, თასებით, მედლებით და ბურთებით, ასევე გამოვლინდა ტურნირის საუკეთესო მეკარე, საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, რომლებსაც აგრეთვე გადაეცათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები და საჩუქრები;

- 19-21 დეკემბერს ქ.თბილისში ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში, ჩატარდა სააგენტოს გეგმით გათვალისწინებული სპორტული ღონისძიება „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ამირან მაისურაძის და შოთა კიკაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში“, 20-21 დეკემბერს ჩატარდა შეჯიბრი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან მოწვეულმა მოჭიდავეებმა. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებით და მედლებით. პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ თასები, მათ შორის ორი სახელობითი თასი (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ამირან მაისურაძის და შოთა კიკაბიძის სახელობის თასები.)

მიღწეული შედეგები - ჩატარებული ტურნირები; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა.

„ქვეპროგრამა აფხაზეთის სახელით მოასპარეზე კლუბების, გუნდების ხელშეწყობა“ (06 27 03 08)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 156 143 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 156 142.20 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა გულისხმობს იმ სპორტული გუნდების/კლუბების (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ამერიკული ფეხბურთი) ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც ასპარეზობენ აფხაზეთის (აფხაზეთთან დაკავშირებული) სახელით. ქვეპროგრამის მიზანია საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა, ჩართულობის დონის ამაღლება, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, კლუბების/გუნდების ფინანსური სტიმულირება.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი:

- შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმი“ (ს/ნ 404984497) დაფინანსდა 42607,20 (ორმოცდაორი ათას ექვსას შვიდი) ლარის ოდენობით;
- შპს „საფეხბურთო კლუბი გაგრა “ (ს/ნ 200112476) დაფინანსდა 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით;
- შპს ფ.კ. „ცხუმი სოხუმი“ (ს/ნ 404476296) დაფინანსდა 21 335 (ოცდაერთი ათას სამას ოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით;
- შპს რაგბის კლუბი „სოხუმი“ (ს/ნ 404562282) დაფინანსდა 17 200 (ჩვიდმეტი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

მიღწეული შედეგი *- სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია და განვითარება, ხელშეწყობილი გუნდები/კლუბები.*

„ნორჩი ფეხბურთელების საზაფხულო სკოლა“ (06 27 03 06)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 7 826 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 7 635.81 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები ნორჩი სპორტსმენებისთვის სპორტული შეკრების, მათთვის სპეციალური ტურების, ექსკურსიების მოწყობა; სემინარების ჩატარება; შეხვედრები ცნობილ სპორტსმენებთან. ახალგაზრდა სპორტსმენებთან დაახლოება, ერთმანეთისთვის აზრთა გაზიარება და შთამბეჭდავი დასვენების მოწყობა; საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა; სხვადასხვა გასართობი ღონისძიებების ჩატარება.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- პროექტი განხორციელდა 11-20 ივლისს ზუგდიდის რაიონში, რუხის საფეხბურთო აკადემიაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და სსიპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა 25-მა ნორჩმა სპორტსმენმა.

რუხის აკადემიაში ლიცენზირებულმა მწვრთნელებმა ჩაატარეს საფეხბურთო წვრთნები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სრულად უზრუნველყო ახალგაზრდა სპორტსმენების საცხოვრებელი პირობები და კვება.

ასევე მოზარდები ეწვივნენ ბათუმის დელფინარიუმს და დაესწრნენ უეფას 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატის თამაშებს, მათ შორის ფინალს, რომელსაც მასპინძლობდა საქართველო. პროექტის დასასრულს გაიმართა შემაჯამებელი თამაშები და სპორტსმენებს საჩუქრად გადაეცათ სააგენტოს მიერ შეძენილი სპორტული ფორმები.

მიღწეული შედეგი - ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ნორჩი სპორტსმენების წახალისება და მათი მოტივაციის ამაღლება.

„წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა - დაჯილდოება“

(06 27 03 03)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 7 000 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 6 999.90 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წლის წარმატებული სპორტსმენისა და სპორტში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის მქონე დევნილი ადამიანების გამოვლენა/დაჯილდოება. მიზანია წარმატებული სპორტსმენების პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- 2023 წლის 22 დეკემბერს ქ.თბილისში, „ჰილტონ გარდენ ინნ თბილისში“ გაიმართა ქვეპროგრამის - „წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა-დაჯილდოება“- საზეიმო ღონისძიება, სადაც წლის წარმატებულ სპორტსმენებს და სპორტში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის მქონე პირებს, გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. ნომინანტების შერჩევა მოხდა სპორტული ორგანიზაციების და ფედერაციების მიერ წარდგენილი კანდიდატების საფუძველზე, სპეციალური შექმნილი კომისიის მიერ. გამოვლენილ იქნა 8 საუკეთესო სპორტსმენი (ლუკა ღვინჯილია, ლუკა ბერულავა, ირმა ხეცურიანი, გიორგი ქალდანი, საბა ადამია, ნათია გადელია, მარიამ მურღვლიანი, გიორგი ჩაკვეტაძე) და 2 სპორტის მუშაკი (თემურ ქეცბაია, ომარ პაპავა).

მიღწეული შედეგი - წარმატებული სპორტსმენების, სპორტის მუშაკების პოპულარიზაცია-მოტივაცია.

განხორციელებული საქმიანობის/ღონისძიების მოსალოდნელი შედეგები:

ახალგაზრდების შემეცნებითი განვითარების მიზნით, აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია; მონაწილეობის მიღება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონკურსებსა თუ ფესტივალებში. კულტურული, ახალგაზრდული თუ სპორტული ღონისძიებებისა და ტურნირების ჩატარება; სპორტსმენების ხელშეწყობა ჩემპიონატებში, პირველობებში, ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, პრიზიორ სპორტსმენთა გამოვლენა, მათი ხელშეწყობა. ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა პრიორიტეტულ პროცესებში; მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტების განხორციელება და მხარდაჭერა.